# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 29 კვირა, 8 თებერვალი 1909 წ. № 29

გაზეთი «დროება» ს ურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ დროს 5 რუ ლ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ნვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე დითოდჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები [illegible] დაა მცირე წერილებს და კორ[illegible] ხავს. ინახება ერთის თვით [illegible] მოთხრობები. პირადად [illegible] დღე, კვირა-უქმეების გარ[illegible] დღეებში 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЕБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## პ. ს. დოროჟნოვი

სოლოლაკის ქ., ს. გურგენოვისა, ტელეფონი № 583.

მაღაზიის სადგომი მალიან გაფართოვდა, ამასთან შეიერთა ის სადგომიც, რომელშიაც მირიმანოვის მაღაზია იყო მოთავსებული.

ვაუწყებთ მუშტარს, რომ ბაზ ის კრიზისის გამო, ფირმამ შემთხვევით შეიძინა მრავალი საქონელი და ამიტომ, სეზონის დამთავრების გამო, შემთხვევით ნაყიდ საქონლის და წინა სეზონიდან დარჩენილის გასასყიდად

### დაინიშნა დიდი იაფობა

შემდეგ 12 დღეს, ესე იგი: 9, 10, 11, 12, 13, 14, 16, 17, 18, 19, 20 და 21 თებერვალს.

გასასყიდი საქონელი ყველა ცხრა სპეციალურ განყოფილებაში არის 300,000 მანეთისა. ეს საქონელი აღნიშნულ 12 დღეში გაიყიდება საოცარ იაფ-ფასად.

**მივაქცევთ მუშტრის ყურადღებას იმას, რომ ყველაფერი საშინლად იაფია**

1. **განყოფილება აბრეშუმეულობის და სამოდნო საქონლისა:** აბრეშუმის კოფტები. დამზადებული საქონელი, აუარებელი სხვა და სხვა დარჩენილი ნაჭრები და სხვა სამოდნო საქონელი საოცრად იაფად.

2. **განყოფილება შალეულობისა:** საკოსტიუმო მატერიები წინა სეზონისა: საფასონო შალის მატერიები, კუპოკაშლეტი, ფასი ტანისამოსისა 3 მან. 75 კაპეიკიდან. 5000 ნაჭერზე მეტი ყოველგვარ შალეულის მატერიისა საოცრად იაფად.

3. **განყოფილება მაუდეულობისა:** ტრიკო ინგლისურ და რუსულ ქარხნებისა კაცებისა და ქალების საკოსტიუმოდ. დრ ფი სადა და ფასონისა კაცებისა და ქალებისათვის. პალტოები 500 ცალზე მეტი დარჩენილი სხვა და სხვა მაუდის საქონლისაგან საოცრად იაფად.

4. **განყოფილება ბამბეულისა, ფერადი ქსოვილი:** 10,000 დარჩენილი ნაჭერზე მეტი ყოველგვარ ქსოვილისა საოცრად იაფად; ამასთან ფრანგული ტილო არშინი 10 ნახ. კაპ.-დან, ფლანელი და მუსლინი ფერადი არშ. 10 ნახ. კაპ.-დან. სარატოვის სარპინკა არშ. 9 კაპ.-დან.

5. **განყოფილება კაცის დამზადებულ ტანისამოსისა:** პერანგები დამისა და დღისა, პერანგის ამხანაგები, საყელოები, გალსტუხები წარსულ სეზონებისა საოცრად იაფად.

6. **განყოფილება ქალის დამზადებულ ტანისამოსისა:** საცვალი, პერანგები, კოფტები, პერანგის ამხანაგები, იუბკები, ფერადი საცვალი ფანტაზი წასულ სეზონისა, კაპოტები, იუბკები ალპაგისა, აბრეშუმისა და სხვა საოცრად იაფად.

7. **ტილოს და ბამბეულის სპეციალური ქსოვილი:** 20,000 ნაჭერზე მეტი ტილოს, სასუფრო და ბამბეულის ათასნაირი საქონელი. არის სუფრები, ფერადი საბნები საზაფხულო, ხელსახოცები და სხვა, საოცრად იაფად. ხამი ტილო არშ. 7 კაპ.—დან

8. **განყოფილება ტრიკოტის ნაწარმოებისა:** აუარებელი წინდები ქალებისა და ბავშვებისა. არის ფერადი, შავი, იმაკო, იშვიათი წინდები ქალებისა, საზღვარ-გარეთული შავი ორმაგ ძირიანი, ღირს 7 მ. 80 კ. თორმეტი ცალი და იყიდება 4 მ. 80 კაპ.

9. **განყოფილება სამებლო მატერიებისა:** ყოველგვარი სამებლო საქონელი, შვეიცარიული ფარდები, პორტიერები, ტიული გარდინისა; ათასი დარჩენილი საქონელი საოცრად იაფად.

10 განყოფილების გარეშე: საზამთრო საბნები. რათა საბნები მომავალ სეზონამდე ჩრჩილისაგან შესანახი არ გაგვიხდეს, გაიყიდება მეტად იაფად, ამასთან თბილი საბნები საგარაკო, არშიიანი 2 მ. 25 კაპ.—დან ცალი. საგარაკო საბნები აბრეშუმისა 3 მ. 25 კაპ. ცალი.

**იაფობის დროს ვაჭრობა იქნება დილის 9—2½ საათზე, ნაშუადღევის 4—6½ საათზე.**

P. S. იაფობისთვის დანიშნული საქონელი ფას-დადებით არ გაიგზავნება. იაფობის გათავების შემდეგ ყველა ცხრა განყოფილებაში გაიყიდება მრავლად მიღებული სასეზონო საქონელი.

(1—ხალ.—1) **პ. დოროჟნოვი.**



**საქართველოს სინოდალური კანტორა** ამით აცხადებს, რომ 5 თებერვალს, დილის 11 ნახევარზედ, ფილტვების ანთებისაგან გადრაიცვალა

### ყოვლად უსამღვდელოესი პეტრე,

ეპისკოპოსი გორისა, პირველი ქორ-ეპისკოპოსი საქართველოსი. ანდერძის აგება სიონის ტაძარში მოხდება კვირას, 8 თებერვალს წირვის შემდეგ, რომელიც დაიწყება დილის 9 საათზედ. დაკრძალვა დანიშნულია ალავერდის ტაძარში, თელავის მაზრაში, ოთხშაბათს, 11 თებერვალს. (2—72—2)

პარუჩიკი **დავით სოლომონის ძე კონჭოშვილი და ანტონ დავითის ძე კობიაშვილი** ამით აუწყებენ, რომ 5 თებერვალს, დილის 11 ნახევარზედ, ფილტვების ანთებასაგან გარდაიცვალა

### ყოვლად უსამღვდელოესი პეტრე,

ეპისკოპოსი გორისა, პირველი ქორ-ეპისკოპოსი საქართველოსი. ანდერძის აგება სიონის ტაძარში მოხდება კვირას, 8 თებერვალს წირვის შემდეგ, რომელიც დაიწყება დილის 9 საათზედ. დაკრძალვა დანიშნულია ალავერდის ტაძარში, თელავის მაზრაში, ოთხშაბათს, 11 თებერვალს. (2—77—2)

**ელისაბედ პეტრეს ასული ქაჯაიასი,** ბავშვები **ნადია და თამარ სარდიონის ასულნი, დავით, ბესარიონ და ანტონ გიორგის ძენი, მარიამ, დარია, ოლგა და მინადორა გიორგის ასულნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—უძვირფასეს—მეუღლის, მეორე და მესამე—საყვარელ—მამის და დანარჩენნი—დაუვიწყარ ძმის

### სარდიონ გიორგის ძის ქაჯაიასას.

ცხედარს გამოასვენებენ დღეს, კვირას 8 თებერვალს, დილის 9 საათზე, რკინის გზის საავადმყოფოს სამლოცველოდან და დაკრძალავენ წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—78—1)

**აზნაურნი ევგენი სალაყაია, ოლღა ლორთქიფანიძისა, პარასკევა ნორაკიძისა და ალექსანდრა სალაყაია** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას დაუვიწყარ მამისა მათის ტიტულიარნი სოვეტნიკის

### ანდრონიკე ზაქარიას ძე სალაყაიასას.

ცხედარის გამოსვენება საკუთარ სახლიდან ახალ სენაკში დანიშნულია კვირას, 8 თებერვალს, დილის 10 საათისთვის. (1—ფ.—1)

**სიმონ, გიორგი, თეოფილე და ელისაბედ ოთხმეზურები, ერმილე და სიმონ თაყაიშვილები, პელაგია ცინცაძისა და კესარია დუმბაძისა, მატრონა და გიორგი ფირცხალაიშვილები, ეკა და ყარამან ბერძნიშვილები, სოფიო და სამსონ ყაზაიშვილები, ლავრენტი ხუნგია, ალექსანდრა და პეტრე ზარინშტალები, თამარ და სამსონ ვაშაყმაძენი, ნიკო და კატო, ალექსი და ანნა, აკაკი და ნადეჟდა ოთხმეზურები, თებრონე და ბენიამენ ღლონტები, სპირიდონი და ელენე გურგენიძენი, ანნა, გრიგოლი, გიორგი, პორფილე, ალექსანდრე, პელაგია და ქეთევან კვირკველიები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი სამი—საყვარელ დედის, მეოთხე—ძვირფას დედამთილის, მეხუთე და მეექვსე, მეშვიდე და მერვე—დაუვიწყარ დის, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე, მეცამეტე და მეთოთხმეტე—საყვარელ დედის და სიდედრის, ხოლო დანარჩენები—ბიცოლის

### ასპირო (ივლიტე) გიორგის ასული ოთხმეზურისას.

ქ. ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა N 13. პანაშვიდი და გამოსვენება ბინიდან სადგურზე დღეს ნაშუადღევის 3 საათზე, დაკრძალვა მოხდება ხოფ. დვაბზუში (გურია) კვირას, 8 თებერვალს. (3—69—3)

წარმოდგენა № 18. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 18.

**იაფ-ფასიანი წარმოდგენა**

დილით კვირას, 8 თებერვალს 1909 წ. დილით

ნაშუადღევის, 12 საათზე. ქართულ დრამ. საზოგ.-დაის მიერ წარმოდგენილი იქნება: **ცნობილი ისტორიული პიესა დ. ერისთავისა.**

### სამშობლო

5 მოქმედებად და 6 სურათად.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**დასაწყისი ზუსტად დილის 12 საათზე.** **ადგილების ფასი დაკლებულია.**

უფროსი რეჟისორი **ა. ი. ყანჩელი.** რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

**კალამქაროვი**—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ. ს.

**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგ., ყოველ დღე. 11 ნახ.—12 ნახ. ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 1—2 ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5. საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—საათ.

**პივარსკი**—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—7)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა. (120—ფ.—53)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6. 90)

**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—56)

**ექიმი** თვალისა ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 ს. და საღამოს 5—6 ს.: ვერა, ოლგას ქ., N 31, ს. სარაჯიშვილისა. (25—38—14)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—89)

**ექიმი** ბ. ნ. მამაკიანი, მიხეილის ქ., ს. ჭავჭანიძისა. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი. სპეციალური ექიმობა: ნაწლავებისა და კუჭის ავადმყოფობანი. დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. (25—ხალ.—4)


## ტფილისი, 8 თებერვალი

კავკასიის შეკითხვის განხილვა სახელმწიფო სათათბიროში უკვე დასრულდა და ამასთან ისე, როგორც ამას არ მოელოდნენ შეკითხვის ავტორები. კავკასიელმა დეპუტატებმა ერთის მხრივ და ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის წარმომადგენლებმა მეორეს მხრივ გამანადგურებელი იერიში მიიტანეს მემარჯვენეებზე და ოფიციალური დოკუმენტებით ხელში დაამტკიცეს, რომ შეკითხვისთვის მემარჯვენეებს თვით ძათ მიერვე შეთხზული ჭორები გაუხდიათ საფუძვლად და არა ნამდვილი ფაქტები. კავკასიელი დეპუტატები უფრო შორსაც წავიდნენ და, გადაშალეს რა სათათბიროს წინაშე კავკასიის შინაურ ცხოვრების სურათი, მემარჯვენეების შეკითხვა მარცხნივ ამოატრიალეს და დაამტკიცეს, რომ საკითხავი არა კავკასიის ადმინისტრაციის ლმობიერება და სისუსტე, არამედ სისასტიკე და ყურის მოყრუება სრულიად მომწიფებულ რეფორმათა საჭიროებისთვის.

კავკასიელ დეპუტატების და ნამესტნიკის წარმომადგენლების პასუხი იმდენად საფუძვლიანი იყო და ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მემარჯვენეებმაც კი ბოლოს რამდენადმე შეამსუბუქეს თავიანთი მრისხანე კილო. ყველა ამის მიუხედავად მაინც არ შეიძლება ვთქვათ, რომ მემარჯვენეებს მთლად აუსრულებელი დაჰრჩენოდეთ თავიანთი მიზანი. როგორც მკითხველებმა იციან, მემარჯვენეები კაი ხანია სისტემატიურ კომპანიას ეწევიან კავკასიის ეხლანდელ ნამესტნიკის წინააღმდეგ; მათ მიერ სათათბიროში შეტანილი შეკითხვაც ყოვლის უწინარეს ნამესტნიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს შეკითხვა მემარჯვენეებმა მხოლოდ მაშინ შეიტანეს, როცა დარწმუნდნენ, რომ ვერავითარი დაბეზღება და საჩივარი ვერა სჭრიდა გრ. ვორონცოვ-დაშკოვის წინააღმდეგ. დაუჯერებელია, მაგრამ პარლამენტის და პარლამენტარიზმის პრინციპიალურმა მოწინააღმდეგეებმა თავიანთ მიზნის ასასრულებლად მოქმედების საპარლამენტო ფორმებს მიჰმართეს; მემარჯვენე გაზეთები გაბრაზებულნი სწერდნენ, მართალია ნამესტნიკის გადაყენება უმაღლეს მთავრობის განკარგულებით ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ამ მიზანს მაინც მივაღწევთ სათათბიროს საშუალებითაო. როგორც მკითხველი ჰხედავს, მემარჯვენეებს ნამესტნიკის გადაყენება ისე ძლიერ სწყუროდათ, რომ საპარლამენტო ტაქტიკასაც კი მიჰმართეს, თუმცა საერთოდ სწორედ ამ ტაქტიკის უარყოფა შეადგენს მათ სულსა და გულს.

უკანასკნელის ცნობებით, სახელმწიფო სათათბიროს კავკასიის შეკითხვის შესახებ ოქტომბრისტების ფორმულა მიუღია. ამ ფორმულის ერთ-ერთი მუხლი ამბობს, კავკასიის მართვა-გამგეობა მინისტრთა საბჭოს დაექვემდებაროსო. ვიდრე კავკასიის ადმინისტრაციის სათავეში ნამესტნიკი იდგება, ყოვლად შეუძლებელია ეს ადმინისტრაცია მინისტრთა საბჭოს ექვემდებარებოდეს და არა ნამესტნიკს. მაშასადამე, სათათბიროს მიერ მიღებული ფორმულა მოითხოვს კავკასიაში ნამესტნიკობის მოსპობას, ეს კი სწორედ მემარჯვენეების უმთავრეს სურვილის ასრულებას ნიშნავს. სახელმწიფო სათათბირო მრავალმხრივ საპარლამენტო unicum-ს წარმოადგენს. არც შეკითხვის ავტორებს, არც მთავრობის წარმომადგენლებს და არც სხვა ორატორებს არც ერთი სიტყვა არ დაუხარჯავთ იმის შესახებ, თუ რა მხრივ არის საკეთე ან ბოროტება კავკასიაში ნამესტნიკობის არსებობა. ლაპარაკობდნენ და მეტად ცხარედაც ლაპარაკობდნენ ეხლანდელ ნამესტნიკზე, ხოლო იმაზე კი, რომ ნამესტნიკის თანამდებობა თავის თავად უვარგისიაო—კრინტი არავის დაუძრავს. ამისდა მიუხედავად სათათბირო ისეთ ფორმულით ამთავრებს დებატებს, რომელიც კავკასიის საადმინისტრაციო მართვა-გამგეობის სისტემის შეცვლას მოითხოვს. ასეთი უცნაური დაბოლოვება კავკასიის საქმეებზე დებატებისა მთლად ოქტომბრისტებიის ორჭოფ პოლიტიკის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. ოქტომბრისტებმა ვერც შეკითხვის სამართლიანობა სცნეს და ვერც გაბედეს, იგი სრულიად უნიადაგოდ გამოეცხადებინათ. ნამესტნიკის მოქმედებაში უკანონობა ვერა ნახეს, მაგრამ ვერც ის გაბედეს, რომ მთლად ხელცარიელები დაერჩინად შეკითხვის მემარჯვენე ავტორები. ოქტომბრისტებს იმ გვარი საკომპრომისო ფორმულა უნდოდათ, რომ ერთის მხრივ ოდნავ მაინც ნამესტნიკის სისუსტე ყოფილიყო ცნობილი, ხოლო მეორეს მხრივ კი ასრულებულიყო მემარჯვენეთა სურვილი გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის გადაყენების შესახებ. სწორედ ასეთი ფორმულაც გამოიგონეს: ნამესტნიკს მსუბუქად უსაყვედურებენ და საადმინისტრაციო მართვა-გამგეობა კი ისე უნდათ შესცვალონ, რომ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს კავკასიაში ადგილი აღარ ჰქონდეს. სხვანაირად შეუძლებელია განმარტებულ იქმნას სათათბიროს მიერ მიღებული ფორმულა, კავკასიის მართვა-გამგეობა მინისტრთა საბჭოს დაექვემდებაროსო.

სათათბიროს მიერ მიღებულ ფორმულაში გამოთქმულია აგრეთვე სურვილი, შემოღებულ იქმნას კავკასიაში თვითმართველობა და განხორციელდეს სხვა და სხვა რეფორმა. იმ ქვეყნებში, სადაც საპარლამენტო რეჟიმი მარტო ოდენ ჩვენება არ არის, სახალხო წარმომადგენლების მიერ მიმდინარე საქმეებზე გადასასვლელ ფორმულაში გამოთქმული სურვილი სავალდებულოა მთავრობისთვის. რუსეთში რომ ეს რეჟიმი მოქმედებდეს, ჩვენ ეხლა საბუთი გვექნებოდა. გადაჭრით გვეწინასწარმეტყველა, ორიოდე თვის შემდეგ სათათბიროში მთავრობა განსახილველად კანონ-პროექტების მთელს წყებას შეიტანს, რომელთა საგანიც იქნება ძირითადი ცვლილება კავკასიის საადმინისტრაციო მართვა-გამგეობისა, შემოღება საერობო თვითმართველობისა და სხვა, მაგრამ რუსეთის ეხლანდელი წესწყობილება ისეთია, რომ მთავრობას თავისუფლად შეუძლიან გვერდი აუქციოს სათათბიროს მიერ გამოთქმულ სურვილებს და კიდევ დაუსრულებლივ გვალოდინოს რეფორმებს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რამდენიმე ხნის წინად საუბარი გვქონდა მკითხველებთან პოლონელთა კოლოს ახალ ტაქტიკის შესახებ სახელმწიფო სათათბიროში. მაშინ ჩვენ საოცარ და გასაკვირველ ამბად ჩავთვალეთ ის გარემოება, რომ მესამე სათათბიროში, სადაც ოქტომბრისტები და მემარჯვენენი ბატონობენ, პოლონელთა კოლო ოპოზიციის თავს ანებებს და მთავრობის,—დღევანდელ რუსეთის მთავრობის მოწინავე პარტიების გვერ-

დით სდგება. მაშინ ჩვენ ეს არა-ბუნებრივ მოვლენად ვაღიარეთ და აღვნიშნეთ, რომ პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი წინააღუდგა დმოვსკის ასეთს საქციელს: რომ პოლონეთის ზომიერი ბურჟუაზიული კლასის პარტია-ჯგუფებიც-კი დაჰგმობენ კოლოს ასეთს ღალატს და გადადგომას, რადგან მთელმა პოლონეთმა კარგად იცის, რომ დღევანდელი რუსეთის მთავრობა და მისი მორჩილი პარტიები არაფერს არ დაუთმობენ პოლონეთს ისეთს, რაც სახსენებლად ღირდეს...

ჩვენი ასეთი აზრი დიდათ იუცხოვა მაშინ „ჩვენმა ხმა"-მ და ლექცია წაგვიკითხა ...კლასთა ბრძოლის თეორიაზე. არაფერია საოცარი და გასაკვირველი, თუ პოლონეთის ნაროდოვცები-ბურჟუები ოქტომბრისტ-ბურჟუებს უახლოვდებიან, უკავშირდებიანო: მათი სოციალური ინტერესები ბუნებრივად ხდიან ასეთს კავშირსაო და სხვა. ჩვენ მაშინ ხმა არ გავეცით გაზეთს, რადგან დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ფაქტები მალე დაუმტკიცებდნენ, რამდენად უადგილოა კლასთა ბრძოლის თეორიის მოტანა ამ შემთხვევაში და, პირიქით, რამდენად სამართლიანი იყო ჩვენი გაკვირვება და გაოცება პოლონელთა კოლოს ახალ ტაქტიკით. მართლაც, საგულისხმიერო და საინტერესო ფაქტებმა მალე იჩინეს თავი, რომელთა შესახებ ჯერ არ გვითქვამს რა ჩვენს გაზეთში.

საქმე ისაა, რომ პოლონელთა კოლოს „ღალატმა" მთელი პოლონეთი ააყაყანა და აამოძრავა; არა მარტო პროგრესიული და დემოკრატიული პოლონეთი, არამედ უძლიერესი და მასთან უზომიერესი ბურჟუაზიაც, რომლის სოციალური მისწრაფება-იდეალები, რასაკვირველია, უახლოვდება რუს-ოქტომბრისტების იდეალებს, თვით ნაროდოვცების პარტია, რომლის წარმომადგენლია სათათბიროს კოლო შეურაცყოფილად სთვლის თავის თავს დმოვსკის ღალატით. საზოგადოებრივ აზრის აღელვება იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ დმოვსკი იძულებული გახდა, სრულიად გამოსულიყო სათათბიროდან. „ნაროდოვცები" ეხლა იმ აზრისანი არიან, რომ კოლოში ადგილი უნდა დაეთმოს პროგრესისტ ნაციონალისტების წარმომადგენელთ, რადგან „დმოვსკის კომპრომისმა მთელის ქვეყნის თვალში უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა პოლონელთა ეროვნული საქმეო". თვით პროგრესიული ნაციონალისტები-კი მოითხოვენ, რომ კოლო სრულიად გადადგეს და ახალი არჩევნები მოხდესო... ერთი სიტყვით, კოლოს ტაქტიკამ არა თუ გაოცა და გააკვირვა პოლონეთი ნაციონალისტები, კიდეც შეურაცყო ისინი, იმდენად არა-ბუნებრივი გამოდგა კოლოს გამოსვლა ოპოზიციიდან დღევანდელს რუსეთის პოლიტიკურს პირობებში. რა პოზიციას დაიჭერს ამიერიდან კოლო სათათბიროში, როგორ ტაქტიკას აირჩევს დმოვსკის მომავალი მოადგილე, ამას მალე ვნახავთ, მაგრამ ის უკვე ფაქტია, რომ პოლონეთის ზომიერ და კონსერვატიულ ბურჟუაზიასაც-კი ეთაკილება მთავრობის მომხრეობა და ოქტომბრისტ-მემარჯვენეებთან კავშირი, მიუხედავად „სოციალურ სოლიდარობისა" და სხვა ამგვარების. რასაკვირველია, პოლონეთის დემოკრატიულ პარტიებს ისეთი „საჯაყი საქმე" არასოდეს არ დაემართებოდათ, როგორიც დმოვსკის კოლოს მოუვიდა, მაგრამ პოლონეთის ბურჟუაზიულ საზოგადოების დღევანდელი აღელვება გვიმტკიცებს, რომ ესეთი საქმე არც ნაროდოვცებს უნდა მოსვლოდათ, რომ მათ საქციელს მთელი ერი, კლასთა განურჩევლად, ჩასთვლიდა „საოცარ და გასაკვირველ საქმედ"...

ეს თავისთავად ცხადია და „ჩვენ ხმას" ჩვეულებრივ დაავიწყდა, რომ პოლონეთის მთელის ერისთვის არსებობს „ეროვნული საქმე", რომლის ღალატს პოლონეთი არავის არ აპატიებს—არც ბურჟუაზიულს, არც სოციალისტურს პარტიებს. პოლონელმა ბურჟუაზიამაც კარგად იცის დღეს, რომ მის ეროვნულ საქმეში მშველელი იქნება ახალი რუსეთი, დემოკრატიული რუსეთი და არა გუჩკოვ-პურიშკევიჩების რუსეთი. „უგოდოვცობამ" სამუდამოთ დაჰკარგა ფასი და უგოდოვცების პარტია სრულიად წალეკა პოლონეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის ტალღამ. თავისუფალ პოლონეთში საქმე სულ სხვა რიგად მოეწყობა: იქ, შეიძლება, ნაროდოვცები უფრო რეაქციონური პარტიაც გახდეს, ვიდრე რუსების ოქტომბრისტებია; მაგრამ რუსეთის იმპერიის დღევანდელ პოლიტიკურს პირობებში შეუძლებელია ხანგრძლივი და მტკიცე კავშირი დაარსდეს დმოვსკისა და გუჩკოვ-მარკოვებს შორის; პირიქით, რამდენად უფრო მეტ ძალას მოიკრეფს რუსეთის რეაქცია, რამდენად უფრო ახლო მივა სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმესთან მარკოვი, იმდენად უფრო მარცხნივ გაიწევს პოლონელი ნაციონალისტი, მიუხედავად მის ბურჟუაზიულ ლტოლვილებისა და სულის კვეთებისა.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

### კავკასიის შეკითხვა

**ნამესტნიკის თანაშემწე მიცკევიჩი.** მიცკევიჩმა 4 თებერვალს განაგრძო თავისი სიტყვა *). მან სთქვა: რაც შეეხება რკინის გზის გამორიცხულ მოსამსახურეების უკან მიღებას, ეს მოხდა გზათა მინისტრის განკარგულებით, თან ახლად ადგილობრივ რკინის გზის სამმართველოს გამოძიებისა თითოეულ პირის შესახებ. ამ გამოძიებაში მონაწილეობას იღებდა ჟანდარმთა სამმართველოს წარმომადგენელიც. შემდეგ მიცკევიჩი შეეხო ხასამამედოვის შენიშვნებს მაჰმადიანთა შევიწროვების შესახებ სარწმუნოების საქმეში და სთქვა, რომ ამ შემთხვევაში დეპუტატებმა უნდა ისარგებლონ კანონმდებლობითი უფლებით; მიუხედავად ერობის უქონლობისა, ადგილობრივი ადმინისტრაცია არ ივიწყებს ადგილობრივ მკვიდრთა საჭიროებებს: აარსებს სკოლებს და საავადმყოფოებს; სცდილობს აფხაზეთში მიწის მოწყობა-რიგებას; აძლევს მიწას ადგილობრივ მცხოვრებთაც. გადაროვის შენიშვნების შესახებ სთქვა, რომ მთიელთა მდგომარეობის გამოსარკვევად და მიწით უზრუნველ-საყოფელად ზომებია მიღებულიო. შემდეგ შეეხო მარკოვ მეორის სიტყვას და სთქვა, რომ შავის-ზღვის მრეწველთა კრების რევიზია უკვე სწარმოებსო. კაზანალიპოვის საქმის შესახებ განაცხადა, რომ გამოძიებამ საშიში არ გამოააშკარავაო. უმართლოა საყვედური ნამესტნიკის შესახებ, ვითომ ტერორისტულ საქმეებს იგი რაილად ეკიდებოდეს. განაჩენებს ამ საქმეთა შესახებ ამტკიცებენ გენერალ-გუბერნატორები და არა ნამესტნიკი. არ არის მართალი ისიც, ვითომ ნამესტნიკი არ თანაუგრძნობდეს მოკლულ მოსამსახურეთა ოჯახებს. მართალია, 500 თოფი დაურიგდა რუსს და ქართველ მუშებს, რომ ჯარის არ ყოფნის დროს გაემაგრებინათ „პოსტები" და შესაძლებელი გეხადათ მოესპოთ თათარ-სომეხთა შეტაკება. 250 თოფი უკან დააბრუნესო. დასასრულ, მიცკევიჩმა უარ-ჰყო მარკოვ მეორის ნათქვამი, ვითომ ნამესტნიკი პოლიციის გასაძლიერებლად გადადებულ ფულს თავის დანიშნულებას არ ახმარებდეს. სტაროსელსკის საქმის შესახებ ყველაფერი შინაგან საქმეთა სამინისტროს ეცნობაო. სიტყვა მიცკევიჩმა იმითი გაათავა, რომ სიმშვიდეა კავკასიაშიო.

**ზამისლოვსკი.** (უკიდურესი მემარჯვენე). ორატორმა მოიყვანა ცნობები სომეხთა სინოდის ობერ-პროკურორის მოხსენებიდან 1905წ. და აღნიშნა მტრული განწყობილება სომეხთა სამღვდელოებისა არა მარტო მთავრობისადმი, არამედ მთელ რუსეთისადმი საერთოდ (ხმაურობა მარცხნივ). ორატორი დიდ-ხანს შეჩერდა მიწის მოწყობა-რიგების პოლიტიკაზე კავკასიაში. რუსების გადასახლების საქმე შეფერხებულია, რადგან რუსების მაგიერად ოსმალეთიდან გადმოხვეწილ სომხებს ასახლებენო. შემდეგ განაგრძო ციტატების მოყვანა ეჩმიაძინის სინოდის ობერ-პროკურორის მოხსენებიდან. ძლიერ სამწუხაროაო, რომ სომხის სამღვდელოება მონაწილეობას იღებს რევოლიუციაში. ეს იმასა ნიშნავს, რომ რევოლიუცია ეროვნულ ნიადაგზეა და ფესვს იკიდებს ხალხშიო. დასამტკიცებლად კავკასიის ადმინისტრაციის ქურდობისა, ორატორმა მოიყვანა ქალაქ ფოთის სესხი. ეს სესხი მოაწყო ფოთის ქალაქის თავმა ნიკოლაძემ ნამესტნიკის კანცელარიის დახმარებით, ბატონ ნიკოლაძის მამულების (ზღვის რიყის) სასყიდლადაო. შემდეგ ორატორმა შეადარა ფილიანდიისა და კავკასიის მოძრაობა და სთქვა იარაღით სავსე გემი სახელად ჯონ-კრაფტონი რომელიც მიჰქროდა ფილიანდიაში დაიღუპა ამნაირივე გემი, დატვირთულ იარაღით იაპონიის აგენტის ატაშის ხარჯზე, მიადგა კავკასიას. ტყუილად კი არ შეადარა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა მაკაროვმა ფილიანდიის „ვოიმა" და კავკასიელ დაშნაკელების მოქმედება და მით აგვიხილა თვალი. ეხლა კი გვესმის ისეთი განმარტება შეკითხვაზე, რომელიც არაფერს არა ჰგავს, რადგან არც ერთი ბრალდებული არ ეცდება, რომ თავისი თავი თვითონ დაიხრჩოს. მხოლოდ მაშინ მოისპობა რევოლიუცია კავკასიაში, როცა მისი დამწყები კავკასიაში ადგილიდან გადაყენებული იქნება; მხოლოდ მაშინ მოგვეცემა საშუალება ფარდა ავხა. დოთ კავკასიის სინამდვილეს. აქ ჩვენ გვაწვდიან ცნობას, რომელიც ჭეშმარიტებას არ შეეფერება და გვეუბნებიან, ცილსა გვწამებთო. თქვენ ღირსი არა ხართ იმათ ფეხსაცმელს თასმა გაუხსნათო, ეს შეუწყნარებელია. თუ თქვენ მიიღებთ იმ რეზოლიუციას, რომელსაც ჩვენ წარმოგიდგენთ, ეს ამაღელვებელი ფაქტები მოისპობა (ტაში მარჯვნივ).

**ვლადიმირსკი** (უკიდურესი მემარჯვენე) ორატორი შეეკითხა ბარონ ნოლდეს: ნუ თუ ზღაპარია იარაღის მიცემა მუშებისადმი, სტაროსელსკის გუბერნატორად დანიშვნა, ეგზარხოსის ნიკონის მოკვლა და სხვაო. ორატორმა გაჰკიცხა მოქმედება ნამესტნიკის დიდ თანამოსამსახურეებისა და სთქვა, წარმოუდგენელია იმაზე აშკარა ქურდობა ხაზინისა, რომელსაც სჩადის პეტერსონიო. ჯუნკოვსკის ადგილი გადაიქცა სომხების რწმუნებულის ადგილად ნამესტნიკთან (ტაში მარჯვნივ). როდესაც მოშიშარა ჩინოვნიკების და კავკასიის დამრღვეველ „ინოროდცების"-ს აღგილს დაიჭერენ კავკასიის ადმინისტრაციაში ერთგული რუსები, თავ-განწირულნი სახელმწიფოს დამცველნი, როდესაც ეხლანდელ სუსტ და ლიბერალურ მთავრობის მაგიერ იქნება სასტიკი, ნაციონალურის მისწრაფებით გაჟღენთილი მთავრობა—მხოლოდ მაშინ დავიჯერებთ, რომ კავკასია დამშვიდდა და ხელ-მეორედ დადასპყრობილი აღარ იქნება (ხმები მარჯვნით „ნამდვილია").

ამ ორატორების სიტყვებით დამთავრდა ოთხ თებერვლის სხდომა. შემდეგი სხდომა მოხდა მეორე დღეს, 5 თებერვალს. ამ სხდომაზე სათათბირომ მიიღო ათიოდე წვრილმანი კანონ-პროექტი და შემდეგ კვლავ განაგრძო კამათი კავკასიის შეკითხვის შესახებ.

**გეგეჭკორი.** ორატორი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ კავკასიის ადმინისტრაციას მეჭრთამეობა დააბრალონ, რადგან მისი აზრით ეს ბრალი ედება მთელ რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციას, მაგრამ არას ღროს არ შეიძლება იმისი თქმა, ვითომ კავკასიის ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევდეს რევოლიუციის დათრგუნვას. სასტიკ ზომებით მიღებით კავკასიის ადმინისტრაცია საზოგადო გადავიდა: ამას ნათლად ამტკიცებს მთელი კავკასია, რომელიც წარმოადგენს აკლება-აწიოკების სრულ სურათს. კავკასიელ ერთა სეპარატიზმი (მისწრაფება განცალკევებისადმი)—არის მარკოვ მე-2-ის იდეფიქსი: იგი სეპარატიზმს ხედავს თვით შავი-ზღვის მრეწველთა საბჭოს წინადადება განმანათლებელ მოღვაწეობისა. ტყუილ-უბრალოდ სცდილობს მარკოვი ხაზს თავსმჯდომარის ზდანოვიჩის მეურნეობას. ზდანოვიჩი იყო პატრიოტი, მაგრამ არა „პოგრომების" გულისთვის, არამედ იმისთვის, რომ იგი ემსახურებოდა ხალხის განთავისუფლების საქმეს. კანონ-პროექტი ქალ. ფოთის სასარგებლოდ ხაზინის გადასახადის შესახებ საფინანსო კომისიამ მიიღო მარკოვ მე-2-ის დახმარებით; მამასადამე, თუ დავუჯერებთ ზამისლოვსკის, რომელიც იწუნებდა, რომ ეს კანონ-პროექტი ქრთამის წყალობით გაიარაო, ცხადია იქნება, რომ მარკოვი შიდრეც არ გარჯილა უანგაროდ. ორატორმა მიჰმართა მემარჯვენეთ და ასე დაასრულა თავისი სიტყვა: თქვენი ენერგია, რომელსაც ახმარებთ მღვინისტურ პროპაგანდას, მოტანს კარგს ნაყოფს: კავკასიელი ნაციონალისტები გაიგებენ ეხლა, თუ რომელ კლასებისგან უნდა ჰქონდეთ მათ დახმარების იმედი. მხოლოდ მშრომელ ხალხის ინტერესების სოლიდარობა როგორც რუსეთში, ისე კავკასიაში, მოუღებს ბოლოს თქვენს პოლიტიკას. თქვენ არც საერთო სახელმწიფო ინტერესებს იცავთ, არც ამიერ-კავკასიის რუსთა ინტერესებს რადგან იქაურ რუსებს თვენთვის რწმუნება არ მიუციათ. ამიერ-კავკასიის რუსობა უარს ამბობს ტიმოშკინზე (ხმაურობა მარჯვნივ). თავსმჯდომარემ შეაჩერა ორატორი. გეგეჭკორმა წაიკითხა ქუთაისიდან მიღებული დეპეშა, რომელშიაც რუსთა ჯგუფი პროტესტს აცხადებს პურიშკევიჩის წინააღმდეგ, და განაგრძო: დროა, ბატონებო, მეჩვრდეთ და ბოროტად აღარ ისარგებლოთ რუსის ხალხის სახელით; დროა ხელი აიღოთ საზიზღარ ცილის წამების გავრცელებაზე, ვითომ რუსის ხალხი მოითხოვდეს სისხლიანი დახჯას და კავკასიელ ერთა ბუნებრივ და კანონიერ მოთხოვნათა დათრგუნვას. დაჰკრავს საათი, როდესაც სრულიად რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა შეიგნებენ თავიანთ ისტორიულ დანიშნულებას—რუსეთის აღორძინებისა და განახლებისას და მოსპობენ თქვენს პატრიოტულ საქციელებს და პროვოკატორობას (ტაში).

**გრაფმა ბობრინსკიმ** მეორემ (ზომიერი მემარჯვენე) სთქვა: თავმიჯნებულ, მაგრამ ძლიერ კავკასიის საქმეთა ძლიერ მეტოქეობით საჭიროა მეტად სერიოზული კანონმდებლობა (მარცხნივ იძახიან: ვაშა), იმ მდგოთის შესაგნებად, რომელიც სისხლითა ჰფენავს კავკასიას, უნდა დავუკვირდეთ მის მიზეზებს, არეულობა კავკასიაში გაძლიერდა იმ დროს, როცა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვი ჯერ არ იყო დანიშნული ნამესტნიკად. კავკასიის არეულობამ სრულ განვითარებამდე მიაღწია ჯერ კიდევ იმ რეჟიმის ბატონობის დროს, რომლის აღდგენასაც ცდილობენ შეკითხვის ავტორები. ის ცნობებიც, რომლებიც დეპუტატ ზამისლოვსკის მიუღია ეჩმიაძინის სინოდის პროკურორისგან, ეკუთვნიან აგრეთვე იმ დროს, როდესაც ვორონცოვ-დაშკოვი ჯერ არ იყო ნამესტნიკად. ზამისლოვსკიმ გვიამბო, რომ ამ პროკურორმა მოახსენა ნამესტნიკს დამზადებულ ბოროტ-განზრახვათა შესახებ, მაგრამ ნამესტნიკმა არაფერი არ გაარიგაო, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ ჯერ არ იყო ნამესტნიკად ჯერ ფიქრადაც არავის მოსდიოდა მისი გამწესება ნამესტნიკად. ამ პროკურორის გვარი ფრენკელია. იგი სამსახურიდან გადააყენეს მექრთამეობის დატყვევებისთვის; რუსის პროკურატურის კორპორაციამ არ მიიღო ფრენკელი და ბოლოს იგი როგორც იყო საპატიმროთა უფროსად გაამწესეს, ამიტომ დიდის სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ გადაყენებულ მოხელეთა მიერ გამოგზავნილ ცნობებს (ტაშისცემა მარცხნივ). ლადიმირსკიმ ნამესტნიკს თითქმის ის ბრალიც კი დასდო, რომ მან ხელი მოუწყო დუშეთის ექსპროპრიაციას, მისი მონაწილენი ხაზინადარ სამართალში მისცაო, მაგრამ ლადიმირსკის ის აღარ ახსოვს, რომ დუშეთის ექსპროპრიაციის მონაწილენი მკვიდრთამ მხოლოდ იმ პირობით მისცა რუსეთს ხელში, რომ ისინი ჩვეულებრივ სამართლით გაესამართლებინა. დაშნაკციუტიუნის პარტია, სომეხთა საეკლესიო მამულების დაბრუნების შემდეგ, დღე და დღე ჰკარგავს თავის რევოლიუციონერ ხასიათს. აბა დააკვირდით ჩვენს საყვარელს, კარგს ამხანაგს დეპუტატს საგათელიანს და დაინახავთ იმ კეთილს ცვლილებას, რომელიც განიცადა დაშნაკციუტუნის პარტიამ (სიცილი, ხმაურობა, ტაშისცემა). წარსულს წელსაც ახალ ქალაქისთავის არჩევამ ცხადად დაამტკიცა, რომ რევოლიუციონერ ელემენტებს სომეხთა შორის არავითარი მნიშვნელობა აღარა ჰქონიათ. კავკასიის არეულობის მიზეზი სხვათა შორის ის არის, რომ წარსულში რუსეთი არ მისდევდა იქ სისტემატიურ კანონის შესაფერ პოლიტიკას. ეს წინანდელი ცოდვა ჰხდება ეხლა ნამესტნიკსაც და ჩვენაც. არის მრავალი სხვა მიზეზიც: ამიერ-კავკასიაში ბატონყმობის და დროებით-ვალდებულ გლეხობის არსებობა და სხვა. ამას გარდა, კავკასიაში მეტად ცუდი გზებია, ცუდადაა მოწყობილი საეროზო გადასახადებისა და სახალხო განათლების საქმე. რუსული სკოლა სრულიად დამარცხდა კავკასიაში მხოლოდ იმიტომ, რომ უნდოდათ იგი განსაკუთრებით რუსულ სკოლად გადაექციათ, როდესაც იგი უნდა იყოს იმავე დროს მკვიდრთა სკოლაც. ეხლა ყველაფერი რუსული დაიღუპა კავკასიაში იმ საზიზღარ წესებისგან, რომელსაც იცავენ უკიდურესი მემარჯვენენი; რუსის ხალხის მიზანია—თითონაც იცოცხლოს და სხვაც აცოცხლოს. კავკასიის არეულობის ძირითადი მიზეზი სულაც არაა თითონ ნამესტნიკი, თუმცა მან რამდენიმე შეცდომაც ჩაიდინა, მაგალითად სტაროსელსკის საქმეში. მეც იმ აზრისა ვარ, რომ კავკასიისთვის საჭიროა სენატორის რევიზია, მით უმეტეს რომ ამ რევიზიას ბეჯითად თხოულობს თითონ ნამესტნიკიც, მაგრამ უმთავრესი ყურადღება ჩვენ უნდა მივაქციოთ საკანონმდებლო მუშაობას, რომელმაც წესიერ კალაპოტში უნდა ჩააყენოს კავკასიის ცხოვრება, ამისათვის საჭიროა ავირჩიოთ პატარა კომისია, რომელიც განსაკუთრებით შეუდგება კანონპროექტების გარჩევას კავკასიის შესახებ. დაე, კავკასიის მკვიდრმა ერებმაც შეიგნონ და გაარჩიონ, რას ამბობს, რას ჰფიქრობს და როგორა გრძნობს რუსის ერი (ძლიერი ტაშისცემა ცენტრში და მარცხნივ, სტვენა მარჯვნივ).

**პურიშკევიჩი.** ორატორმა სთქვა, რომ ბობრინსკის სიტყვა მშვენივრად დახასიათდა მემარცხენეების ტაშის ცემითაო. მე არა მშურს ეს ტაში, და ამიტომ პასუხს არ გავცემ ბობრინსკის, რომელმაც აკურატი წაუკითხა კავკასიის ნამესტნიკს. გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი კავკასიელებისათვის ისეთი მმართველია, რომელიც მათ მოქმედებას ხელს არ უშლის და რომელიც დატოვებულ უნდა იქმნას კავკასიაში. ჩვენი შეკითხვის ზედგავლენით მოხდა ის, რომ მემარცხენეთაც დაუწყეს ნამესტნიკს საყვედური, ნამესტნიკის პოლიტიკა არაფრით არ გაირჩევა მისი წინა მოადგილეების პოლიტიკისაგანაო. როდესაც ჩვენ დავანახვეთ, რომ კავკასია რუსების სისხლის გუბეს წარმოადგენს, ჩხეიძემ, გეგეჭკორმა და სხვებმა წყალი გადაასხეს ამ სისხლის გუბეს, რომ უფერულად გაეხადნათ ეს გუბე. რა გააკეთა კავკასიის ადმინისტრაციამ, რომ გაექარწყლებინა ჩვენი შეკითხვა? ნამესტნიკმა დაიწყო მიღება მილოცვებისა, სადაც მე ცილისწამებლად გამოვყავდით. მაგრამ ვინ უგზავნიდა მილოცვებს ნამესტნიკს? მარტო ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მიულოცეს, იმ ვაზელინ ვაზელინოვიჩებმა, რომელთაც უნდოდათ ფეხ ქვეშ დაგებოდნენ ნამესტნიკსაო. ორატორს შეუძენია ადრეს-კალენდრები კავკასიის ყველა ქალაქისა და იქიდან ამოწერილ ცნობებით ამტკიცებდა, რომ კავკასიის ქალაქების თვით-მმართველობებში მეტ წილად ადგილობრივი მცხოვრებნი არიანო. რაღა გასაკვირველიაო, რომ ნოლდეს დაავადმყოფებულ სულს დე კავკასიის ადმინისტრაციას ქებათა-ქება შეესხაო. ჩემი სიტყვის შემდეგ ნოლდე კავკასიაში წავიდა, საიდანაც კავკასიის ყაზახთა სტანიცის საპატიო მოხუცად დაბრუნდა. მაგრამ გენერალი კოლიუბაკინი 44 სტანიცის საპატიო მოხუცად ითვლებოდა; თუ თქვენ შეივლით სინემატოგრაფებში, ნახამთ, როგორა ეარშიყებოდა ეს გენერალი ყ. ზახის ქალებს; აქედან დაინახამთ, თუ რაში აძლევენ საპატიო მოხუცობას (სიცილი, ხმაურობა). ერთი საშუალება კიდევ გამოსძებნეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომ ადმინისტრაციისთვის ნდობა გამოეცხადებინათ—ეს სომეხთა სამღვდელოებს უქვეშევრდომილესი ადრესი გახლავთ. სჩანს, რომ კიდევ მაღალი კედელი ყოფილა ჩვენ, მემარჯვენეთა, და ხელმწიფე იმპერატორის შუა, რომ იმის შემდეგ, რაც ჩვენ ვიცით და ვთქვით, სცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ თვითმპყრობელი ხელმწიფე, მიუხედავად იმისა, რომ ეხლაც კი სომეხ-თათართა ყველა ოლქში გაისმის მანუკ-ჰაისტანის (განთავისუფლებულ სომხეთის) ყიჟინაო. ამის შემდეგ ორატორი შეეხო სკოლის საქმეს კავკასიაში და სთქვა: სასკოლო საქმე ისე არის დაყენებული, რომ ამასთან არაფერია ის, რაც იქ წამოითქვაო. თავის სიტყვის დ სამტკიცებლად ორატორმა განმათავისუფლებელ მოძრაობის ხანიდან მოიყვანა რამდენიმე მაგალითი. (ამ დროს ისმოდა ხმა მაღალი ლაპარაკი, ნამეტნავად მემარცხენეთა სკამებზე). პურიშკევიჩმა მემარცხენეებს მიმართა: მე გთხოვთ, ან გაჰვიდეთ ან ყური დამიგდოთ. მილიუკოვ, დაიკარგე აქედან! (თავმჯდომარემ მოლაპარაკეებს სთხოვა კულუარებში ნასულ იყვნენ). პურიშკევიჩმა მიმართა მემარცხენეს: თქვენის მხრივ ეს დემონსტრაცია, მაგრამ მე ვაფურთხებ მას.

**გეგეჭკორი** ადგილიდან: სრულებითაც არ არის დემონსტრაცია, ყურს არ გიგდებთ იმიტომ, რომ საინტერესო არ არის თქვენი ლაპარაკის მოსმენა.

**პურიშკევიჩი.** მე ველაპარაკები სათათბიროს ცენტრს და მემარჯვენეებს, მემარცხენეები დემონსტრაციას ახდენენ, რომ არ გაიგონონ არა სასიამოვნო ფაქტები. (ხმაურობა). სანამ არ გაჩუმდებით, მე ტრიბუნაზე მთელი საათები ვიქნები, თქვენვე დაისჯებით! (პურიშკევიჩმა მემარცხენეებს ზურგი შეაქცია).

**თავმჯდომარე.** გთხოვთ, გაჩუმდეთ. აქ სათათბიროს სხდომაა და არა მასხარობა!

**პურიშკევიჩი** ბოლოს ორატორმა მემარჯვენეებსა და ცენტრს სთხოვა მიიღონ შეკითხვა. მე მივმართავ ცენტრს, რომლისგანაც დამოკიდებულია საკითხის გადაწყვეტა: ბატონებო, მიიღეთ კავკასიის შეკითხვა რუსეთის დიდებისთვის, მომავალ თაობებისთვის, რომელიც იმ დროს დაგვიტუქსავს განაპირა ქვეყნებში, როდესაც სრულებით მათი მოლოდინი არ გვექნება.

**ჩხეიძე.** მემარჯვენეებს დაუცარიელდათ ცილის წამების, ჭორების და ინსინუაციების საწყობი. თუ არ გარგა კავკასიის ადმინისტრაცია, მაშინ უნდა დაინგრეს ის მექანიზმი, რომლის ნაწილსაც შეადგენს კავკასიის ადმინისტრაცია. ეს ერთი ღირსეული დასკვნაა, რომელიც მემარჯვენეთა სიტყვებისაგან შეიძლება გამოვიყვანოთ. რაც შეეხება პურიშკევიჩს მან თავის სიტყვებით ერთი საკითხი წამოაყენა: რა უნდა ვუყოთ სათათბიროს იმ წევრს, რომელიც ავად არის. (თავმჯდომარემ გააჩერა ორატორი). ჩხეიძემ უპასუხა პოკლოვიჩს და შენიშნა, რომ კავკასიაში ადგილობრივი მცხოვრებნი რუსებთან ხელის-ხელ ჩაკიდებულნი მოქმედებდნენ და მომავალშიაც ასე მოიქცევიან, სანამ თავიანთ მიზანს არ მიაღწევენ. (ტაში მარცხნივ). თქვენ მიერ სეპარატიზმის ქადაგება, ბ-ნნო მემარჯვენენო, მართლაც იქამდის მიიყვანს საქმეს, რომ ის ჯაჭვი, რომელიც, პრემიერმინისტრის სიტყვით, აერთებს რუსეთის საწილებს ერთი დღეს ისეთის ხმით გაწყდება, რომ დაყრუებასთან ერთად თქვენ დაბრმავებით კიდევ (ტაში მარცხნით). ტყუილად სცდილობს ტიმოშკინი დაამტკიცოს, ვითომ ჩვენ კავკასიელ რუს მოხელეთა წინააღმდეგ მივდიოდეთ, ნუ თუ არ შეუძლიან გაიგოს, რომ ჩვენ ყველა მოხელეების წინააღმდეგნი ვართ, რუსი იქნება იგი, ქართველი, სომეხი თუ სხვა ტომისა. (ტაში მარცხნით). ორატორმა უარ-ჰყო მარკოვ მეორის სიტყვები კავკასიის სეპარატიზმს შესახებ და კავკასიის ერების სახელით განაცხადა, რომ რუსეთის დიდება კავკასიის ერების განვითარების ერთი არსებითი პირობა) (ტაში მარცხნით). თქვენთვის კი, ბ-ნნო მემარჯვენენო, რუსეთის პროგრესსი—სიკვდილის ნიშანია (მარჯვნით: „დაიკარგეთ აქედან"! სიცილი, ტაში მემარცხენეებში): რუსის ხალხის დიდების წინაშე ჩვენ კი არა, თქვენ უნდა გაერთხოთ მიწაზე! (ტაში მარცხნივ). დასასრულ, ორატორმა შეიტანა ფორმულა. ამ ფორმულაში ნათქვამია, რომ მემარჯვენეები რეაქციის გასამარჯვებლად სცდილობენ ერებს შორის შუღლი ჩამოაგდონ და უარყოფილია აგრეთვე შეკითხვა და აღნიშნულია კავკასიისთვის საჭირო რეფორმები. ფორმულის წაკითხვის შემდეგ ორატორმა უპასუხა ბობრინსკის და შენიშნა, რომ სოციალ-დემოკრატია კი არ სდგას გადაგვარებულ გზაზე, არამედ ის წოდება, რომელსაც ბობრინსკი ეკუთვნის.

**ბარლდიუ** [illegible] ნიშნ[illegible] შეკითხვა [illegible] ხშას არ იღებს ცენტრი, რომლისაგან დამოკიდებულია კანონების შემოღება, რატომ არა სცდილობს კავკასიაში რეფორმების განხორციელებას?

**მილიუკოვი.** შეკითხვის მიზანი—თავადგოლიცინისა და ვოსტორგოვის პოლიტიკის დაბრუნებაა. საჭიროდ არ მიმაჩნია ვრცლად შევეხო შეკითხვის შინაარს. მეორე სთქვა მილიუკოვმა, მაკვირვებს, რომ კავკასიის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ტიმოშკინს „ჩვენი დეპუტატი" უწოდა, ნუ თუ კიდევ მოიპოვება ისეთი მთავრობა, რომელიც თავის თავს პატივს სცემდეს და ამავე დროს ერთი ერის წარმომადგენელს თავის დეპუტატად სთვლიდეს, ხოლო დანარჩენებს „სხვებით" ნათლავდეს (ტაში მარცხნივ). ეს „მადიარული" პოლიტიკაც არის, ეს ძველ-მოსკოვური ან ჭეშმარიტ-რუსული პოლიტიკაა (სიცილი, ტაში მარცხნით, ხმაურობა მარჯვნით). მიცკევიჩის გამოგზავნა განსამარტებლად დემონსტრაცია იყო. ჩვენს წინ იდგა მოხელე, რომელმაც 30 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო იმ სისტემაში, რომელიც გამეფებული იყო უბედურ კავკასიაში (თავმჯდომარემ ითხოვა, პიროვნებას ნუ ეხებითო). ეხლა, როდესაც მოვისმინეთ კავკასიის ადმინისტრაციის ამ წარმომადგენელს, მივხვდით, თუ რადა სთქვა კავკასიის ნამესტნიკმა ადგილობრივ ადმინისტრაციაზე; იგი შეუჩვეველია დაფიქრებულ, დამოუკიდებელ მუშაობასაო (სიცილი), მიჩვეულია მთელი წლების განმავლობაში მარტო მთავრობის ბრძანების ასრულებასაო (სიცილი). როდესაც ვდგევარ კავკასიის ადმინისტრაციის ორ სხვა და სხვა ჯურის წარმომადგენლის წინაშე მიცკევიჩისა და (გამოშვებულია მეორე წარმომადგენლის გვარი) მართლაც არ ვიცი, რომელი ვამჯობინო, მაგრამ თუ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" კანდიდატსა და გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს შორის ერთერთი უნდა ავირჩიოთ, მაშინ ნება მიბოძეთ ვორონცოვ-დაშკოვს მივცე უპირატესობა (სიცილი). ვწუხვარ მხოლოდ, რომ შეკითხვამ ისეთი მიმდინარეობა მიიღო, რომ სრულიად დაიჩრდილა განაპირა ქვეყნების პოლიტიკის საკითხი. ამ საკითხში მე მზადა ვარ ბარონ ნოლდესა და ბობრინსკის განმარტებას ცოტად მაინც შევუერთდეო. მილიუკოვი დიდ-ხანს შეჩერდა იმ ბრძოლის ისტორიაზე, რომელსაც ეწეოდა მთავრობა კავკასიელ ერების წმინდა კულტურულ მისწრაფების წინააღმდეგ (ხმაურობა, ბევრი დეპუტატი გადის სხდომიდან. თავმჯდომარე თხოულობს წესიერება დაიცვან). კავკასიის პოლიტიკის ისტორიულ ანალიზს იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ ეს პოლიტიკა ძირიანად უნდა შეიცვალოს. ამნაირ პოლიტიკის საჭიროება 100 წლის წინადვე იქმნა აღიარებული. მოიგონეთ იმპერატორ ალექსანდრე პირველის სიტყვები ანორინგისადმი „არ დაივიწყოთ, რომ უნდა პატივი სცეთ ამ ხალხის უფლებას, უნდა შეეფარდოთ მათ ჩვეულებებს, ერთის სიტყვით, ამ ქვეყანას ისე კი არ უნდა უყუროთ, როგორც სასარგებლო შეძენას, არამედ ისე, რომ ეს ხალხი თავის ბედნიერებისთვის შემოგვიერთდა". დასასრულ, ორატორმა შეიტანა ფორმულა, სადაც აღიარებულია, რომ კავკასიის ადმინისტრაციის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი გამოწვეულია კავკასიაში რეაქციის გაძლიერების აზრით და ამ მიზნით სრულიად უსაფუძვლოა კავკასიის ადმინისტრაციის ლიბერალობა და ადგილობრივ მცხოვრებთ სეპარატიზმი; რომ ფაქტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა კავკასიაში გამოწვეული იყო რუსეთის საერთო მდგომარეობით და იმ პირობებით, რომელიც შეჰქმნა მართველობის სისტემამ; რომ ეს სისტემა, რომელიც მიმართულია კავკასიის ერების წმინდა კულტურულ მისწრაფებათა წინააღმდეგ და რომლის მეოხებითაც ადგილობრივ ადმინისტრაციიდან განდევნილნი არიან ადგილობრივი მკვიდრნი, მორალურად აშორებდა ადმინისტრაციას და მცხოვრებლებს, ამწვავებდა ნაციონალურ ბრძოლას მცხოვრებთა სხვა-და-სხვა ელემენტებში. ბოლოს ფორმულაში აღიარებულია ის ზომები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ კავკასიის მცხოვრებთა მშვიდობიანობას.

**ნამესტნიკის თანაშემწე მიცკევიჩი** ყაჩაღობის შესახებ ორატორმა სთქვა რომ ნამესტნიკმა მიიღო სხვა და სხვა ზომებიო. შემდეგ მან განაცხადა პასუხს არ გავცემ ზამისლოვსკის ეჩმიაძინის მონასტერში მომხდარ უწესოებათა შესახებ რადგან ბობრინსკიმ უკვე გასცა პასუხიო. მერე მიცკევიჩი შეეხო ორატორების ნალაპარაკევს და სთქვა, ნამესტნიკის საერთო პოლიტიკაზე არას ვიტყვი, რადგან იგი დაწვრილებით არის აღნიშნული ნამესტნიკის მოხსენებაშიო.

**კამენსკი** (ოქტომბრისტი). ორატორმა პასუხი გასცა ბარლდიუკს, რომელმაც ოქტომბრისტებს უსაყვედურა, ჩუმად რად ხართო. ჩვენაო, სთქვა კამენსკიმ შეკითხვაში დაინტერესებულ დეპუტატებს დაუთმეთ ადგილი თავიანთ აზრის გამოსათქმელად. ამას გარდა, ბევრი ლაპარა[…]

*) სიტყვის დასაწყისი იხ. „დროება", N 28.

კიდან არაფერი გამოვა. ცენტრი კერძო ჯგუფთა სეპარატისტულ მისწრაფების გამო მთელ ერს ვერ დასდებს ბრალს. უკანასკნელ დროის სამწუხარო ფაქტები აიხსნება პოლიტიკურ აღელვებით და მართვა-გამგეობის სისტემით. ამ სისტემამ ვერ მოახერხა შეერთება საქართველოსი და შემოქმედ ძალებისა, რომელთა წრიდანაც გამოვიდნენ რუსის ხალხის გმირები: ქართველი თავადები ბაგრატიონი და ციციშვილი, სომეხი ლორის-მელიქოვი, ბებუთოვი, ლაზარევი, დუკახოვი და, დასასრულ, ალიხანოვ-ავარსკი, რომელიც ყუმბარის მსხვერპლი გახდაო.

ბოლოს კომენსკიმ წაიკითხა მორიგ საქმეებზე გადასასვლელი შემდეგი ფორმულა:

„მოვისმინეთ რა კავკასიის ნამესტნიკის წარმომადგენელთა განმარტება, რომელმაც არ დაგვაკმაყოფილა; ვცნობთ რა, რომ კავკასიის მრავალ ადგილას მშვიდობიან მშრომელ მცხოვრებთა სიცოცხლე და ქონება დიდს განსაცდელშია ჩავარდნილი ყაჩაღობისაგან, რომელიც გაძლიერდა როგორც კავკასიის ზოგიერთ ადგილობრივ პირობის გამო, ისე ადგილობრივ ადმინისტრაციისა და პოლიციის უმოქმედობისა და უყურადღებობის მეოხებით; ვფიქრობთ რა, რომ კავკასიაში მომხდარი პოლიტიკური ფაქტები აიხსნება როგორც მთელის იმპერიის გამწვავებულ პოლიტიკურ მდგომარეობით, აგრეთვე კავკასიაში შემოღებულ მმართველობის წესებით; ვპოვებთ რა, რომ ამ ჟამად სასურველია კავკასიის მმართველობა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს საზოგადო სახელმწიფო მმართველობას,—სათათბირო სცნობს, რომ მდიდარ, მაგრამ დღემდე თავმინებებულ კავკასიის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მასთან მჭიდრო ერთობის აღსაგენად საჭიროა: დაინიშნოს სენატორის რევიზია ადგილობრივ მოხელეთა ბოროტმოქმედების ზედმიწევნით გამოსაძიებლად; გამოიცვალნენ, სადაც-კი საჭირო იქნება, ადგილობრივი მოხელენი, მეტადრე პოლიციის მოხელენი; გაუმჯობესდეს საადგილ-მამულო ურთიერთობა. სასამართლო, სახალხო განათლება, გადასახლების საქმე, განხორციელდეს სასარგებლო რეფორმები, საქალაქო და საერობო თვითმმართველობა, დაწესდეს, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ თითონ განაგონ საკუთარი საქმეები, სამართლიანად მოვეპყრათ მკვიდრ ერთა არსებით ინტერესებს, კავკასიის ყოველ კუთხის განსაკუთრებულ თვისებთა შესაფერისად, და კავკასიის მმართველობა დაექვემდებაროს მინისტრთა საბჭოს. ჰფიქრობს რა, რომ ასეთი რეფორმები შეაერთებენ რუსეთის ერთგულ ადგილობრივ ერთა უმეტესობას და ხელს შეუწყობენ ერთიან და განუყოფელ იმპერიის ძლიერებისა და სიმკვიდრის განმტკიცებას, სათათბირო შეუდგება მორიგ საქმეთა განხილვას“.

კამათი დასრულდა. სათათბირომ მიიღო ოქტომბრისტების ფორმულა ყველას ხმის უმეტესობით წინააღმდეგ პოლონელთა კოლოსი, მშვიდობიან განახლების პარტიისა, კადეტებისა, მუსულმანებისა, შრომის ჯგუფისა და სოციალ-დემოკრატებისა.

შემდეგი სხდომა მოხდება 10 თებერვალს, დილის 11 საათზე.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 თებერვალი

## მიწის-ძვრა

**თეირანი.** ლურისტანში საშინლად დიდი მიწის-ძვრა მომხდარა. ცნობები ამის შესახებ გვიან მოვიდა. მიუხედავად იშვიათ მოსახლეობისა, 60 დასახლებული ადგილი მაინც დანგრეულა, ამასთან ზოგისა ნაწილი განადგურებულა, ზოგი კი სულ გამქრალა, მიწის ქვეშ მოჰყოლია. ამბობენ, რომ 6000 კაცამდე დაიღუპაო. უბედურებისაგან გადარჩენილებს საკვები აღარ დარჩენიათ და ბურუდშირში გაქცეულან. მთავრობას დახმარებასა სთხოვენ.

**სტამბოლი.** კირ-კილისასა, სამაკოვსა, მუსტაფა-ფაშასა და ანდრიანოპოლის ვილაეთის სხვა ადგილებში ორი საგრძნობელი მიწის-ძვრა მოხდა.

**სოფია.** იამბოლის მიდამოებიდან მიწის-ძვრაზე ახალ-ახალი ცნობები მოდის. იმ ადგილებში, სადაც მიწისძვრა მოხდა, მინისტრები წავიდნენ.

**სტამბოლი.** უკანასკნელ 4 დღეში სივასის ვილაეთში მიწისძვრისგან რამდენიმე ასი სახლი დაინგრა. მოკლული ხუთია.

## სპარსეთი

**თეირანი.** თავრიზში საქმის ვითარება არ შეცვლილა. ყარადაგელი ცხენოსნები, რომელთა ხელშიაც ჯულფა-თავრიზის გზაა, დიდ უწესოებას სჩადიან, სცარცვავენ ქარავნებსა და ფოსტას. ინგლისისა და რუსეთის მისიებმა პროტესტი განაცხადეს.

## ბალკანეთი

**სტამბოლი.** ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობა შეეკითხა ოსმალეთის მთავრობას იმის შესახებ, თუ როგორ მოექცა ბრბო კაიაფაში ავსტრიის გემიდან გადატვირთულ საქონელს. ავსტრიის მთავრობამ მოითხოვა, გაფუჭებულ საქონლის ანაზღაურება და დამნაშავეთა დასჯა.

**ვენა.** ზვორნიკიდან იტყობინებიან: 4 თებერვალს სოფელ ნოვასელას მახლობლად სერბიის მხრიდან შეიარაღებულმა სერბებმა, ალბად გლეხებმა, თოფი დაუშინეს ავსტრიის პატრალს, რომლის უფროსად უნტერ-აფიცერი იყო. პატრულმა უფროსმა პასუხი გასცა. როცა პატრულმა გზა განაგრძო სერბიის საზღვრისკენ, ორჯელ კიდევ ესროლეს სერბებმა თოფი. ავსტრიის პატრულში არავინ დაჭრილა. არ იციან, დაჭრათ სერბებს ვინმე თუ არა.

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** საპროგრამო სიტყვაში ხილმი-ფაშამ ხაზგასმით აღნიშნა ერის ერთიანობა. ეს გრძნობაო, სთქვა დიდმა ვეზირმა, ყველას გულს აღფრთოვანებს, ამაღლებს, უგდვილებს სხვა ერებთან დამოკიდებულებას. სხვა და სხვა ერთა მიზანს მიწა-წყლის ჩაგდება არ შეადგენს, ვინაიდან ყველა ისინი ჰხედავენ თავიანთ წინ ისეთ ერს, რომელმაც თავისი ფასი იცის და თავის ერთობის მეოხებით დამოუკიდებლობის დამცველია. ამ მოსაზრებით ჩვენ ვეცდებით მშვიდობიანური განწყობილება ვიქონიოთ როგორც მეზობელ, ისე შორეულ სახელმწიფოებთან. ჩვენ ერთად-ერთ დევიზად—საერთაშორისო ძმობა ერთობა იქნება. ჩვენ არ უნდა დავარღვიოთ არავისი უფლება და არ უნდა მივცეთ არავის ნება, რომ არარად ჩააგდოს ჩვენი ინტერესები. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მიუხედავად ათასნაირ მითქმა-მოთქმისა, ომის თავიდან აცდენას. ბოლო ელება. ყველა იმ დაბრკოლებას, რომელიც მშვიდობიანობისათვის საფრთხეს წარმოადგენდა მახლობელ მომავალში უნდა გადასწყდეს ყველა საკითხი სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებით. თანაგრძნობა სახელმწიფოებისა ჩვენდამი ეხლა უფრო საჭიროა ჩვენთვის. ჩვენ ამას გარდა დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენის ძვირფას და კეთილშობილ სამშობლოს შინაურ ძალთა აყვავება-აღორძინებასა. სამშობლოს დღემდე არა ჰქონდა თავისუფლება და თანასწორობა ყველა მოქალაქეთა. საჭიროა ყველას თანასწორობა, სამართლიანობა, რომ ამით დავიჭიროთ საპატიო ადგილი განათლებულ სახელმწიფოთა შორის.

დეპუტატთა პალატა შეუდგა ოსმალეთის ბანკის ოთხ მილიონ სესხის აღების ხელშეკრულობის პირველ კითხვას. კამათი შესწყდა დიდი ვეზირის მოსვლის გამო. დიდი ვეზირის სიტყვა ძალიან მოიწონეს. დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მაშინ, როდესაც მან განაცხადა, რომ მთავრობას იმედი აქვს ყველა პარტიები, განურჩევლად ეროვნებისა, მხარს დაუჭერენ. მინისტრმა განაცხადა, სულ მცირეოდენი უკმაყოფილების გამოცხადების შემდეგ მთელი კაბინეთი გადადგებაო. შინაურ პოლიტიკის შესახებ მინისტრმა განაცხადა, საჭიროა მოისპოს ის უკმაყოფილება, რომელიც გამოწვეულია ეროვნების და სარწმუნოების სხვადასხვაობითაო. დასასრულ, მინისტრმა განაცხადა, გარეშე საქმეთა მინისტრმა დეპეშით ცნობა მიიღო, რომ სახელმწიფოთა კაბინეთებმა მოიწონეს მისი საგარეო პოლიტიკის პროგრამა. ლიბერალურ პარტიის წევრმა ისმაილ-ქემალმა შეიტანა მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულა ხილმი-ფაშისათვის უკმაყოფილების გამოცხადებით იმის გამო, რომ იგი მინისტრად დადგა ნაცვლად ქიამილ-ფაშისა, რომელიც არა კონსტიტუციონურად იქმნა გადაყენებული. ეს ფორმულა დიდის უმრავლესობით უარყოფილ იქმნა. პალატამ საყოველთაო ალტაცებით ნდობა გამოუცხადა ხილმი-ფაშას.

**სტამბოლი.** ხილმი-ფაშამ განკარგულება მისცა, დაიცვან ფოსტის დატვირთვა ბეირუთში, იაფაში და სხვა ადგილებში და თუ საჭირო იქნება შეიარაღებულ ძალასაც მიმართონ.

## საზღვარ-გარედ

**მექსიკა.** უკანასკნელ ცნობებით აკაპულკოში გაჩენილ ცეცხლის დროს დაიღუპა 310 კაცი. საავადმყოფოებში 100 დაშავებული კაცია.

**ლონდონი.** ასკვიტის სახლის წინ სუფრაჟისტკებმა (ქალთა საარჩევნო უფლებისათვის მებრძოლმა ქალებმა) დემონსტრაცია გამართეს. დაპატიმრეს 6 ქალი. პოლიციამ დემონსტრაციის მონაწილენი გარეკ-გამორეკა.

**ლონდონი.** უკანასკნელ ცნობებით, ვესტ-სტენლის მაღაროებში აფეთქების დროს მოყოლილ მუშათა გადარჩენა უიმედოა.

**ბერლინი.** რეიხსტაგი შეუდგა პოლონელების მიერ წარდგენილ 14 თებერვლის 1907 წლის კანონ-პროექტის განხილვას. ამ კანონ-პროექტით, განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა ყველას ნება უნდა მიეცეს უძრავ ქონების შეძენისა.

**ბერლინი.** რეიხსტაგის კომისიამ, მუშათა კანონ-პროექტის განხილვის შემდეგ, მიიღო წინადადება ცენტრის მუშათა პალატების დაარსების შესახებ.

**ქაირი.** სტუდენტთა გაფიცვა ალაზარის უნივერსიტეტში გაძლიერდა. რექტორმა პავანიმ სამსახურს თავი დაანება. მთავრობის მიერ დანიშნული ახალი რექტორი, რამდენიმე სტუდენტის გამორიცხვის გამო, შეურაცხყოფილ იქმნა და იძულებული გახდა, პოლიციისთვის მიემართნა. გახნდნენ გუბერნატორი, პოლიციის უფროსი და პროკურორი. დაატუსაღეს 23 კაცი. გაფიცულია 12,000 კაცი. გუშინ მოხდა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელსაც დაადგინა, მიიღოს სასტიკი ზომები გაფიცულთა წინააღმდეგ. ფრანგების საკონსულომ წინადადება მისცა საფრანგეთის მფარველობის ქვეშ მყოფ სტუდენტებს, მონაწილეობას ნუ მიიღებენ დემონსტრაციებში.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს წევრი ლუკიანოვი უწ. სინოდის ობერ-პროკურორად დაინიშნა.

**ლოძი.** ხუთი შეიარაღებული მძარცველი თავს დაეცა გოფრიხტერის ფაბრიკის კასირს, რომელსაც 1600 მანეთი ფული მიჰქონდა. კასირი ფული, დასჭრეს გოროდოვოი და მიიმალნენ.

**იაროსლავი.** რიბინსკში ხოლერით ხელახლა გახდა ავად ხუთი კაცი. გარდაიცვალა 1 კაცი. სულ სენის გაჩენიდან ავად გახდა 22 კაცი, გარდაიცვალა 10 კაცი.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 10, გარდაიცვალა 5. საავადმყოფოში 266 კაცია.

**სარატოვი.** სამოსამართლო პალატამ, რევოლიუციონერების ორგანიზაციის საქმეზე გადაუწყვიტა: ერთს ოთხი წლის კატორღა; ერთს ერთი წლით დაპატიმრება, ორი გაამართლა. სამხედრო სასამართლომ გახის საქმე ღვინის დუქნის გაცარცვისა (პეტროვის მაზრაში) და პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის შესახებ, ორს კატორღა მიუსაჯა, ორიც გაამართლა.

**მოსკოვი.** ბრესტის სადგურზე შეიპყრეს სამი მძარცველი, რომელთაც 10,000 მან. გაიტაცეს სოფ. კორეტოვაში, მოსკოვის მაზრაში.

„დროების“ დღევანდელ ნომერთან ერთად რიგდება **„სურათებიანი დამატება № 6**.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **სამართალში მიცემა.** „ბაქო“-ში დაბეჭდილია: ქუთაისის გუბერნიის ექვს სამაზრო სამხედრო საკრებულოს ყველა მოხელეს სამართალში აძლევენ. მიზეზი ჯერ არ გამორკვეულა.

✦ **დაპატიმრება.** გუშინ შუაბაზარში ფეხზე მოვაჭრე ხალხს უეცრად ალყა შემოარტყა პატრულმა და ჩხრეკა დაუწყო. ვინც უპასპორტო აღმოჩნდა, დააპატიმრეს, ხოლო დანარჩენი გაანთავისუფლეს.

✦ **ალმანახი.** დღეს, 8 თებერვალს, გამოვა ახალი ალმანახი „ძალა“.

✦ **პეტრე ეპისკოპოსი.** გუშინ, 7 თებერვალს, ბინიდან გამოასვენეს ახლად გარდაცვალებული ეპისკოპოსი პეტრე და წაასვენეს სიონის ტაძარში. სიონში გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი, რომელსაც დაესწრო მრავალი სასულიერო და საერო პირი. წირვასა და პანაშვიდს გადაიხდიან დღეს 8 თებერვალს, და შემდეგ ცხედარს დასაკრძალავად წაასვენებენ ალავერდის მონასტერში. განსვენებულ ეპისკოპოს დაუტოვებია ფულად 13,000 მან. აქედან ანდერძით 6000 მან. დაუტოვებია თელავის მაზრის სოფელ საბუეში ეკლესიის ასაგებად; 400 მან. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ, 2000 მან. საშუალო ქალთა სასწავლებელში იმის სახელობაზე ერთი სტიპენდიის დასაარსებლად; 150 მანეთი—წინამძღვარიანთკარის სკოლას; 200 მ.—სასულიერო პირთა ქვრივ ობოლთა სამზრუნველოს; 100 მ.—ცხეთის დედათა სკოლას. სხვა თავის ნათესავებისათვის დაუტოვებია.

✦ **შეპყრობა.** სააგენტოს დეპეშა გადმოგვცემს: ბაქოში შეიპყრეს წითელ რაზმის უფროსი. გაჩხრეკის დროს მას უპოვნეს მაუზერი, პატრონები, პროკლამაცია, სადაც პროტესტია გამოცხადებული ქალაქის თვითმართველობის მიერ მკარცველების წინააღმდეგ ზომების შემუშავების შესახებ.

✦ **ქალაქის მიწები.** ქალაქის გამგეობამ დაავალა საიჯარო სტოლს, ცნობაში მოიყვანოს ქალაქის მიწების მდგომარეობა. როგორც შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, დღემდე ქალაქის მიწა საიჯარო გასაცემად დანაწილებული ყოფილა 186 დესეტინა და 1655 ოთხ.-კ. საჟენი. სულ 2482 ნაჭერია. აქედან სხვა და სხვა პირებს დღემდე მიუთვისებიათ 383 ნაჭერი ადგილი.

✦ **ავჭალის აუდიტორია.** 6 თებერვალს ავჭალის აუდიტორიაში ქართველმა სექციამ ქართულ დრამატიულ არტისტების მონაწილეობით წარმოადგინა „პარიჟელი ბიჭი“ და გამართა საკონცერტო განყოფილება. „პარიჟელ ბიჭი“ რიგიანად ჩაატარეს შეუდარებელი იყო ტ. აბაშიძე ჟოზეფის როლში. საკონცერტო განყოფილება კი ვერ იყო რიგიანი. კარგა წაიკითხა ორი ლექსი ბ-ნმა იმედაშვილმა, არა უშავდარა ჯაბაურსაც. ურუშაძემ ბევრი აცინა საზოგადოება თავის „გურულ სცენების“ წაკითხვით. წარმოდგენა დანიშნულ დროზე არ დაიწყო და გვიანაც გათავდა.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** 5 თებერვალს ტფ. ქალ. საბჭომ მოისმინა გამგის მოხსენება ფერშლის გრინკოს შესახებ რომელიც სამსახურის ასრულების დროს გადამდებ სენისაგან გარდაიცვალა 4 მცირე-წლოვან ბავშვებს შემწეობა მიეცემათ თავმჯდომარის წინადადებით, სხდომამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და შემდეგ დაადგინა: მიეცეს განსვენებულის ოჯახობას 600 მან. წლიური დახმარება. 300 მან. განსვენებულის ქვრივს გათხოვებამდე და 300 მან. ბავშვებს, სანამ წლოვანნი გახდებოდნენ.

✦ **ი. ნაკაშიძის ლექცია.** დღეს დილის 11 საათზე, პუშკინის ბიბლიოთეკის დარბაზში (ალექსანდროვ. ბაღში) ილია ნაკაშიძე წაიკითხავს რუსულად ლექციას შემდეგ საგანზე: ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა რაზიკაშვილი. შესვლის ფასი 10 და 5 კაპ.

✦ **სამაგნიტო გამოკვლევანი მცხეთაში.** სახელმწიფო სათათბირომ მიიღო კანონ-პროექტი იმ ფულის გადადების შესახებ, რომელიც საჭიროა სამაგნიტო გამოკვლევებისათვის მცხეთასა და მის მიდამოებში.

✦ **ყუმბარა.** 7 თებერვალს, დილით 7 საათზედ, ორ უცნობს კაცს ლერმონტოვის ქუჩაზე ერთი სახლის წინ გადაუგდიათ ყუმბარა, რომელიც საშინელის ხმით აფეთქებულა და თავზარი დაუცია მცხოვრებლებისთვის. უცნობები მიმალულან. გამოურკვეველია ვის და რა მიზნისათვის უნდა გადაესროლათ ყუმბარა.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულება.** ტფ.-გენ.-გუბერნატორის განკარგულებით გაუქმებულ იქმნა მის მიერ 30 ოქტომბერს 1908 წ. გამოცემული სავალდებულო დადგენილება, რომლითაც ადმინისტრატიულ წესით გადასახლებულთა შენახვისათვის პასუხის მგებელნი იყვნენ სახლის, სასტუმროების, ნომრების და სხვა პატრონები. მისივე განკარგულებით სამხედრო წესების მოხსნამდე დაიხურა რეუტოვისა და ნიკოლოზის ქუჩაზე ნემსაძისა და ჯოდალოვის დუქნები სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისთვის.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** 6 თებერვალს მოხდა სხდომა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა ახლად არჩეულ წევრთა მონაწილეობით. გამგეობამ ეს სხდომა უმთავრესად მოანდომა ახალ წევრებისათვის საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის გაცნობას. გამგეობამ გადასწყვიტა სხდომები ორშაბათობით იქონიოს ხოლმე. სხვათა შორის გამგეობას თითბირი ჰქონდა ზუბალაშვილის სახალხო სახლის შესახებ. გამგეობამ აირჩია ვ. ი. რცხილაძე და დაავალა მას, დაიცვას უნივერსიტეტის ინტერესები ქალაქის გამგეობასა და ზუბალაშვილის სახალხო სახლის გამგე კომისიის შეერთებულ სხდომაზედ.

✦ **ლექციები.** დიდ მარხვის პირველ კვირაში ოთხშაბათს და შაბათს, საღამოს ექვს საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრეს ბაღი) მიუნხენის უნივერსიტეტის დოქტორი დირრი წაიკითხავს ორ ლექციას კავკასიის თემების შესახებ. ამასთან ნაჩვენები იქნება სურათები.

✦ 6 თებერვალს, ნაშუადღევს 1 საათზედ, ივანე ჯონკაძემ ისე ძლიერ დაახალა გაქანებული ეტლი ოდგას ქუჩაზე მიმავალ ემანუილ და ეკატერინე კრავს, რომ ეკატერინე მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

✦ პოლიციამ 5 თებერვალს დააპატიმრა ადქესი კოკილოვი, რომელსაც ბრალდება 1907 წელს 10 აგვისტოს ნიკოლოზის საქალაქო სკოლის ინსპექტორის მოკვლის განზრახვა.

✦ რედაქციამ მიიღო პირველი ნომერი საუმაწვილო ჟურნალ „ნაკადულისა“. ამ ნომერში მოთავსებულია ლექსები და წერილები ი. ეკდომვილისა, გიორგისა, ან. ამილახვრისა და სხვა. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, „ნაკადულის“ ბეჭდვა შეფერხდა სტამბაში მომხდარ გაფიცვისა გამო; ამ ნომრის გამოცემა იმიტომ დაგვიანდა.

✦ 5 თებერვალს პოლიციამ დააპატიმრა ქართლელი გლეხი ოქრო (მიხეილ) დავარაშვილი, რომელსაც ცხინვალის მცხოვრებ არის [illegible] დავარაშვილის მოკვლა ბრალდება.

✦ [illegible] შემდეგის შინაარსით: [illegible] მანანსძისა [illegible] შვილის მოთხრობა „დღეობანი“. საადახ „გულისტანი“, თარ. ა. სარაჯიშვილისა.—ან. ერისთავის „დარისპან თარამშვილი“.—ტიტმაიერის „აჩრდილი“, თარგ. ლ. აზოდბაძისა.—კ. აბაშიძის „ვაჟა-ფშაველა“. კრაკის „საუბარი ხელოვნების შესახებ“.—ახალი ამბები.

# მოწერილი ამბები

**ხარბინი.** აქაურმა ქართველებმაც გადაიხადეს აკაკის იუბილეი. პირველად მოწვეულ იქმნა საზოგადო კრება. ამ კრებაზე ბევრმა წინადადება შემოიტანა, შეგროვებულ იყო, შეძლებისა გვარად, წვლილი აკაკის სალიტერატურო ფონდის გასაძლიერებლად და ამით განსაზღვრულ იყო ჩვენი როლი ამ დღესასწაულში, მაგრამ მაინც, ხმის უმეტესობით, გადასწყდა საიუბილეო საღამოს გამართვა. კრებამ ამისთვის აირჩია კომისია. მან, სხვათა შორის, მიჰმართა მოწოდებით შორ-აღმოსავლეთის. სხვა და სხვა კუთხეში მყოფ ქართველებს და სთხოვა ნივთიერი დახმარება. არც გაუცრუვდა იმედი. საღამოს წინა დღეებში კომისიამ მიიღო ფული: ვლადივასტოკიდან: 100 მან.—დოჩანოვისაგან—10 მ., მღვ. იმერლიშვილისაგან; ხაბაროვსკიდან—61 მ. 65 კაპ., კუანჩენძიდან—100 მ. და რკინის გზის სხვა და სხვა სადგურიდან—58 მ., სულ 329 მან. 65 კ.

11 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, საკომერციო კრების დარბაზი საზოგადოებით გაივსო. გარდა ქართველებისა, რომელნიც თითქმის ყველანი იყვნენ, საღამოს ბევრი სხვა ტომის საზოგადოებაც დაესწრო. მეტი ნაწილი, რასაკვირველია, იყო ინტელიგენცია.

დაიწყო საღამო მგოსნის სურათის ჩვენებით. აეხადეს ფარდა და მაყურებლებს თვალ წინ წარუდგა ეს სურათი, ყვავილბალახით შემკობილი. სურათს გარშემო შემოწკრივებულიყო ქართული ხორო ეროვნულ ტანისამოსში. ხორომ ქართული „მრავალ ჟამიერ“. შესრულა შემდეგ ამისა წაიკითხეს აკაკის მოკლე ბიოგრაფია: რუსულად—ბ. ი. მიქელაძემ და ქართულად—კ. კეიდიამ. ბიოგრაფია „მრავალ-ჟამიერითვე“ დასრულდა ამას მოჰყვა ლექსების კითხვა იუბილიარის თხზულებიდან. მეორე განყოფილებაში სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა რამდენიმე კავკასიური ესკიზი იპ. ივანოვისა. ქ-ნმა ხუციშვილისამ ხელოვნურად შეასრულა როიალზე „ლეკური“, „დემონიდან“ მესამე განყოფილება შეიცავდა ცოცხალ სურათებს „ვეფხვის ტყაოსნიდან“. დასასრულ გამოვიდა ქართული ხორო და ძმყობრად იმღერა: „რა კარგი რამ ხარ“, „იავნანა“, „მიყვარს ფაცხა“ და სხვა. სიმღერა ძალიან მოეწონა საზოგადოებას და რამდენიმე ხმა გაამეორებინა კიდეც. ბოლოს გაიმართა ლეკური და ევროპიული ცეკვა. თითქმის დილის 4 საათამდის ხალხი არ დაშლილა. საერთოდ საღამომ კარგად ჩაიარა და საზოგადოება კმაყოფილი დარჩა.

წმინდა შემოსავალი საღამოსაგან ზემოაღნიშნულ შემოწირულ ფულიანად შეადგენს 464 მან. საერთო შემოსავალთან 989 მან.!) შედარებით ფული მეტი უნდა დარჩენილიყო, რომ ცოტა მაინც ეკონომია გაეწიათ კომისიის წევრებს, მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, არა თუ ეკონომია არ გვიყვარს, არამედ მისი გაგონებაც გვეზარება. ამას კიდევ ზედ ერთვის ის გარემოება, რომ ჩვენ სრულიად არა ვართ დამზადებულნი ამისთანა შემთხვევებისთვის და ამიტომ ყველაფერში მეტი ხარჯი მოგვდის.

ამ დღეებში მომხდარმა ქართველთა საზოგადოების კრებამ, განიხილა რა კომისიის მიერ წარდგენილი ანგარიში საღამოსი, დაადგინა, გაეგზავნოს ფული წერა-კითხვის საზოგადოების საშუალებით მთავარ საიუბილეო კომიტეტს აკაკის სალიტერატურო ფონდის გასაძლიერებლად. თანახმად ამ დადგენილების, ფული ამასთან ერთ დროს იგზავნება დანიშნულებისა-გვარად.

**გან—ლი.**

# სპარსეთის ამბები

**თავრიზელ რევოლიუციონერების ახალი გამარჯვება.**

„ნოვ. ზაკ.“-იეს ატყობინებენ ჯულფიდან:

31 იანვარს ეინუდ-დოვლესა და სამედ-ხანის რაზმები შეერთდნენ და ერთად გაემართნენ სოფ. ხატიბანსკენ, რომელიც 4 ვერსის მანძილზე მდებარეობს თავრიზიდან. შაჰის ჯარი რომ მიუახლოვდა, რევოლიუციონერებმა მიატოვეს თავიანთი პოზიციები და ქალაქისკენ დაიხიეს. შაჰის ჯარი გამაგრდა გორაკებზე და შტურმისთვის დაიწყო მზადება. ამ დროს გასქდა რევოლიუციონერებს მიერ მიწაში დამა-

ლული ნ.ლმები და მუსრი გაავლო მტერს. შაჰის ჯარმა მოკურცხლა. რევოლიუციონერებმა სარდერუდამდე სდიეს რეაქციონერებს და მათგან მომეტებილი ნაწილი გაწყვიტეს.

იმავე დღეს რახიმ-ხანი, რომელმაც წინა დღისით მარანდის გზა დაიჭირა, დიდის რაზმით გაემართა თავრიზისკენ და აჯიჩაის ხიდს დაეცა. ქალაქიდან ზარბაზანი დაუშინეს რახიმ-ხანის რაზმს. გაიმართა ძლიერი ბრძოლა და სისხლის ღვრა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ თითონ სათარ-ხანი და ბაღირ-ხანი.

ბრძოლა კიდევ რევოლიუციონერების გამარჯვებით დასრულდა. რახიმ-ხანმა დიდის ზარალით დაიხია და ჯერ-ჯერობით გამაგრდა ალვარსა და მარანში, თავრიზიდან რამდენისამე მილის მანძილზე. სათარ-ხანს მცირე ზარალი მოუვიდა".

**რევოლიუცია თავრიზში.**

ბაქოში კერძო ცნობები მიიღეს თეირანიდან, რომ იქ ბრძოლა დაიწყო რევოლიუციონერებსა და რეაქციონერებს შორისო. რევოლიუციონერები ხმარობენ ხელით სასროლ ყუმბარებს. მეჩითებსა და ბაზრებში მიტინგებია გამართული („ზ.")

## სავაჭრო ამხანაგობა „გეორგია" და ბ. მეხუზლა.

(წერილი რედაქციის მიმართ)

(დასასრული*)

ზემოდ აღნიშნულ მოვლენას დიაღაც ადგილი არ ექნებოდა წესიერად დაყენებულ ამხანაგობაში, მაგრამ ბ-ნი მეხუზლა სრულიადაც არ უცქერის „გეორგიას" როგორც პასუხისაგებ საამხანაგო და საზოგადო საქმეს, თორემ ექვსი წლის განმავლობაში განა შეუძლებელია, ერთხელ მაინც არ განეზიარა ამხანაგებს საქმის ნამდვილი ვითარება?! საქმის გაზიარება კი ნიშნავს ამხანაგების მხრივ კანტროლის აღიარებას და ეს რა ხელსაყრელია ბ-ნ მეხუზლასათვის! მაშინ ხომ მოსთხოვენ ამხანაგები ანგარიშს თუნდაც, მაგალითად, ქალაქ ტფილისისათვის, რომ ორი მილიონი კუბიკი ქვა უნდა ჩაებარებინა, რითი გათავდა ეს საქმე, რა მისცა ამხანაგობას, სად არის იმისი მოგება? მაგრამ ეს კუბიკების საქმე ხომ 1905 წელს დაიწყო, მანამდი კი რას აკეთებდა ამხანაგობა? მხოლოდ გვესმის მხოლოდ, რომ გორის სინდიკატიდან ამხანაგობამ კარგი მოგება ნახაო, სხვა საქმეებზედაც მოიგოთ: თიფას, ქერს, ბზეს, კომბოსტოს აწვდიდა ჯარსაო ბათუმში და სხვა. შეიძლება ეს ჭორიც იყოს, მაგრამ როდესაც ამხანაგობის გამგესაგან არავითარი ანგარიში არა გვაქვს ამ ხმების უარსაყოფელად, მოდი და ნუ დაიჯერებ!

შარშან ბ-ნი მეხუზლა შეუამხანაგდა მ. ლალიძეს და გახსნა ტფილისში ლიმონათის ქარხანა, რომელიც მშვენივრად მუშაობდა წარსულ ზაფხულს. თვით ბ-ნი მეხუზლა მომგებიან საქმედ სთვლის ამ ქარხანას, მაგრამ გგონიათ, რომ ამხანაგობა ნახავს რაიმე სარგებლობას ამ საქმიდან? წარსული გვარწმუნებს, რომ არა.

ახლა კიდევ ახალი საქმე—მუხრანის ხიდი—შეიძლება ხვალ კიდევ სხვა რამე საქმეს მოჰკიდოს ხელი ბ-ნმა მეხუზლამ (ამისი უნარი აქვს, ღვთის წინაშე) და იქნება აღებულიც ჰქონდეს, მაგრამ ამხანაგობას რა? ამხანაგები შემდეგშიაც ისეთივე უბრალო გარეშე მაყურებელნი იქნებიან, როგორიც იყვნენ ბ-ნ მეხუზლასავე წყალობით აქნამდის, და ასე გასტანს მანამდე, სანამ ერთი მშვენიერ დღეს იგივე ბ-ნი მეხუზლა არ გამოუცხადებს ამხანაგებს, „გეორგია" გაკოტრდა და, ნურას უკაცრავად, რომ საწევრო ფულიც დაგელუპათო. მაშინ ყველა ის ვითომდა „მადნიანი ადგილი" ოზურგეთის მაზრაში და ყოველი უძრავ-მოძრავი ქონება ამხანაგობისა ფიქციად გამოდგება. ან რა და რის ძალით უნდა მოსთხოვოთ ბ-ნ მეხუზლას, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ ექვსი წელიწადია მოქმედობს „გეორგია", ჯერაც ინვენტარის წიგნი არ მოეპოვება!

უნებლიედ იბადება კითხვა: ვინ არის დამნაშავე ყველა ამ უწესოებაში? თითქოს საწარმოო თანხა ამხანაგობას საკმაო ჰქონდა, საქმეები სარგებლიანი და ბლომად. მაშ რა მიზეზია, რომ ამხანაგობის საქმე ასე უკუღმართად წავიდა, იმდენად უკუღმართად, რომ ამხანაგები იძულებულნი არიან შეტანილ თანხაზედაც კი ხელი აიღონ, არა თუ მოგება ეძიონ.

როგორც ზემოდ გამოვარკვიეთ, უმთავრესი ბრალი ედება, რასაკვირველია, თვით ამხანაგობის გამგეს, ბ ნ მეხუზლას. ბრალი ედება იმაში, რომ—

1. თავდაპირველად ამხანაგობა შეადგინა სხვა წესდებით და როდესაც საჭირო რიცხვი ამხანაგებისა მოიპოვა მათდა **დაუკითხავად შესცვალა ეს წესდება**; 2. შესცვალა ისე, რომ **საქმის ბატონ-პატრონად გახდა მარტო თვითონ**. არა თუ სამუდამოდ, ვიდრე ცოცხალია, არამედ **სამვილიშვილოდ** (მიინიჭა უფლება გადასცეს ამხანაგობის გამგეობა, ვისაც მოისურვებს).

3. **ამხანაგებს ჩამოაცალა** პირველ წესდებით მინიჭებული **უფლებები** საქმის უმთავრეს **გამგებლობისა**; 4. **უარ ჰყო ყოველივე ბუხჰალტერია** და საჭირო დავთრების წარმოება, 5. არა თუ გადმებულად არა სთვლის თავის თავს წარუდგინოს ყოველ წლივ ამხანაგებს ანგარიში საქმის ნამდვილ მდგომარეობისა, პირიქით **ცრუ ცნობების მიწოდებით განზრახ შეჰყავს შეცდომაში** როგორც **ამხანაგობა**, ისე საზოგადოება; 6. ბრალი ედება იმაშიაც, რომ **ახალი წესები დღემდე დამალული აქვს** და ამხანაგებმა ამისა არა იციან რა; 7. ბრალი ედება იმაშიაც, რომ **ექვსი წლის განმავლობაში მუქთად სარგებლობს** პირობის წინააღმდეგ **ამხანაგობის** მიერ შეტანილ **თანხით** და მთელ საქმესაც თავის პირად ინტერესების დასაკმაყოფილებლად აწარმოებს; და 8. ბრალი ედება ბ-ნ მეხუზლას იმაშიაც, რომ იგი **განაგებს** „გეორგიას" ამხანაგობის საქმეებს **1906 წლის შემდეგ უკანონოდ**, რადგან იგი არჩეული იყო მხოლოდ სამის წლით და ამ ვადის გასვლის შემდეგ კი იგი განმეორებით არავის არ აურჩევია.

არა ნაკლები ბრალი ედებათ **იმ პირთ, რომელთაც ხელი შეუწყეს ბ ნ მეხუზლას**, შეიძლება უნებლიეთაც, **წესდება შეეცვალა** კრების მოუწვევლად და დაუდასტურებლად და წინანდელ წესდებით მინიჭებული უფლება მათთვის ჩამოერთმია. ზოგნი მათგანი კიდევ, როდესაც მიჰხვდნენ, რომ დროზედ გაცლა სჯობსო, ჩამოშორდნენ ამხანაგობას და არა სცნეს საჭიროდ გაეფთხილებინათ დანარჩენი ამხანაგები.

კერძოდ ბრალი ედებათ 25 მაისს 1908 წელს არჩეულ **სარევიზიო კომისიის წევრთ**, რომელთაც იკისრეს ამხანაგობის საქმეების გაცნობა-მოწყობა (ბუხჰალტერიისა): მათ არც არაფერი გააკეთეს, არც ამხანაგებს აცნეს მიზეზი თავიანთ უმოქმედობისა, არც პროტესტი განუცხადეს ბ-ნ მეხუზლას მის მიერ ზემოაღნიშნულ კრების შემდეგ დაგზავნილ წერილის გამო; და როდესაც ერთი ამხანაგი დია წერილით შეეკითხა ამ კომისიას, აკეთებს რამეს, და თუ არა—რა მიზეზია. პასუხად საკომისიო ერთმა წევრმა გასცა პასუხი, საიდანაც ვტყობილობთ, რომ არჩეული კომისია ერთხელაც არ შეკრებილა. რა ჰქვიან ამას, თუ არა საზოგადოების თუნდა პატარა წრის, ნდობის ბოროტად მოხმარება!

ბრალი ედება **ყველა წევრს** ამხანაგობისას, რომ მათ არ ეინტერესებათ საქმის გაცნობა: ერთი ჩაეწერნენ და მერე უცდიან—აი წელს, აი მეორეზედ დაგვირიგებს ბ-ნი მეხუზლა დივიდენდებსაო. ეს ინდიფერენტიზმი საზოგადო სენია ყველა ჩვენი ამხანაგობისა თუ საზოგადოებისა. წელიწადში ერთხელ ხდება საზოგადო კრება (ამ შემთხვევაში 5—6 წლის განმავლობაში ერთხელ) და მაშინაც არ უნდათ დასწრება და თუ შეიკრიბნენ, ჩქარობენ აირჩიონ „სარევიზიო კომისია" და დაიშალნენ, ღრმად დარწმუნებულნი, რომ კომისია იგი არას გააკეთებს. არც ანგარიშების განხილვა, არც გამგესაგან პასუხის მოთხოვნა თუ მოსმენა, არც მოფიქრება ანუ სჯა-ბაასი იმ პირებზედ, რომელნიც ხელს უშლიან ამხანაგობის განვითარებას, არც ერთი, არც მეორე.

ნუ თუ საქმე სრულიად დაღუპულია და აღარა ეშველება რაო, იკითხავს გაოცებული ამხანაგი. ჩვენის აზრით, საჭიროა უპირველეს ყოვლისა ამხანაგებმა მტკიცედ მოსთხოვონ ბ-ნ მეხუზლას დაწვრილებითი ანგარიში წარსული ექვსი წლის მოქმედებისა. საჭიროა სრული და ძირითადი რეორგანიზაცია ამხანაგობისა, აღდგენა პირველ წესდებისა და შევსება იმისა ახალ მუხლებით.

ამხანაგობის დაშლა უფრო მეტს ზარალს მოუტანს საზოგადოებას, ვიდრე მატერიალურად დაზარალება რამდენიმე ათეულ პირისა. ჩვენ ვგულისხმობთ ზნეობრივ ზარალს, იმ ცუდ გავლენას, რომელსაც მოახდენს საზოგადოებაზედ ამხანაგობის დაშლა: საზოგადოება ერთხელ კიდევ უნდა დარწმუნდეს, რომ რაიმე საზოგადო საქმის მოწყობა ჩვენში თითქმის შეუძლებელია, რომ სანდოდ სამებარნი არიან ამნაირ საქმის პატრონი და სანდო მოთავენი. და ხვალ რომ ახალი რაიმე საქმის მოწყობა უნდოდეთ მართლაც პატიოსან პირთ, საზოგადოება გულგრილად და ეჭვის თვალით უნდა დახვდეს. ამიტომ, ჩვენის აზრით, სჯობს შევეცადოთ ახალი ორგანიზაცია მივცეთ საქმეს, თორემ აწინდელი სახით მისი დატოვება ყოვლად შეუძლებელია.

უკანასკნელი კრების დადგენილებას თანახმად შემდეგის საზოგადო კრების მოწვევა (30 წასულ სექტემბერს) დავალებული ჰქონდა სარევიზიო კომისიას. ეს კომისია ესლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ აღასრულოს კრების ეს დავალება (მაინც ხომ არას აკეთებს). მომავალმა კრებამ უპირველეს ყოვლისა უნდა ჩაიბაროს ამხანაგობის უძრავი თუ მოძრავი ქონება და ყოველი საქმე და შეუდგეს ამხანაგობის ძირითად რეორგანიზაციას. თუ ეს მოუხერხებელი აღმოჩნდა, ლიკვიდაციის გარდა სხვა არ არის

ამხ. „გეორგიას" წევრნი: **ი. ზედგინიძე,**
**თ. როსებ ამირეჯიბი,**
**პლატონ ქ. აბულაძე,**
**გ. სალარიძე.**

# რუსეთი

✦ **სრულიად რუსეთის „ჭეშმარიტ რუსთა" კრება.** აპრილში მოხდება სრულიად რუსეთის „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წარმომადგენელთა კრება. სანამ ეს კრება მოხდებოდეს, ცნობილ ვოსტორგოვს გადაუწყვეტია კერძო თათბირი გამართოს. ვოსტორგოვს ცირკულიარით მიუმართავს „ჭეშმარიტ რუსებისათვის". ცირკულიარში ნათქვამია, კონსტიტუციასთან ბრძოლამ ხელი შეგვიშალა, ჩვენი მოთხოვნილებანი ჩამოგვეყალიბებინა, რაიც ხელს უშლიდა და უშლის სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს დეპუტატებს ნამდვილი წინააღმდეგობა გაუწიონ კონსტიტუციისა და რევოლიუციის მომხრეებსაო. კრების პროგრამმა შემდეგია: 1. ეკკლესია და მრევლი; 2. სკოლა; 3. ბეჭვითი სიტყვა. ამ საკითხა განიხილავენ მემარჯვენე პრესსის წარმომადგენელნი და ამათ რეზოლიუციას მიიღებს კრება; 4. მიწის საკითხის მოწეს-რიგება; სახელმწიფოს მოწეს-რიგება.

✦ **ჩამოხრჩობა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: კიევში—2, მოსკოვში—2, ტფილისში—1, ვარშავაში—5 კაცს. სიკვდილით დასაჯეს: ვორონეჟში—1, ხარკოვში—1, ვილნოში 1.

✦ **გოგოლის იუბილეი.** როგორც ვწერდით, ამ წლის 20 მარტს რუსეთის გამოჩენილ მწერლის ნ. ვ. გოგოლის ასი წლის დაბადების დღე სრულდება. ამის შესახებ პეტერბურგში საშუალო სასწავლებელთა დირექტორების კრება მოხდა. კრებას დაუდგენია, მოსწავლენი 20 მარტს გაანთავისუფლოს და ამ დღეს სალიტერატურო დილა და სალამოები გამართოს სასწავლებლებში. მოწაფეებს დაურიგებენ გოგოლის ზოგიერთ თხზულებას. ამას გარდა გაზაფხულზე, საჩუქრების დარიგების დროს, საჩუქრებად დაურიგებენ გოგოლის თხზულებებს და გოგოლის სახელობაზე დაბეჭდავენ ქების ფურცლებს.

✦ **სოფლის მასწავლებლებს შორის.** ვილნოს სამოსწავლო ოლქის მთავრობას სოფლის მასწავლებლებისათვის მიუწერია, გაზეთებში კორესპონდენციები არა გზავნოთ და [illegible] დირექტორის წინადადებით [illegible].

**ექიმი** [illegible] იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—ს.—3)

## პირველი კერძო სამკურნალო
## დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—21)

## ხელ-ახლად
გაიხსნა სასტუმრო
## „ბორჯომი"
ვაგზლის ქუჩაზედ, № 17, სადგურის მახლობლად. ნომრები მშვენივრად არის მორთული ახალი რემონტით. ვანაც აქვს. ფასები ხელ მისაწდომია. ათი შაურიდან სამ მანეთამდე. თვიურად უფრო ნაკლებ ფასებში. (3—კვი.—1)

## სანერგე ავსარქისოვისა
ჰყიდის ხეხილის ნერგებს. ხეხილი საუკეთესო ჯიშისა: საზღვარ-გარეთული, რუსული და ადგილობრივი. კატალოგები მსურველს უფასოდ ეგზავნება. ადრესი: Ст. Скра, Закав. Каз. Жез. Дор. Авсаркисову. (10—2)


## „პროვოდნიკის"
## ამხანაგობა
## რიგაში
1888

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● **იყიდება ნაღდად და ცალობით:** ●

დარეზინებული წყალ გაუვალი **ზედა ტანისამოსი** სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასამდის.

დარეზინებული **წამოსასხმები და პალტოები** ბ-ნთ ოფიცერთათვის;

დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;

**რეზინის ღრუბელი;**

**სავარცხლები** რქის რეზინისაგან;

## ცალობით ვაჭრობა ღედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების
## „პროვოდნიკი"-სა



## კალოშები
## „პროვოდნიკისა"

1897



პატენტ-მიღებული
საუკეთესო მთელ ქვეყნიერობაზე

პირველი ადგილი უჭირავთ სიმკვიდრით, და ზედმოხმარებულ ფასონის სილამაზით საქონლის ღირსებით.
**უეჭველი თავმდებობა საქონლის სამაგალითო სიმტკიცისა და სიმაგრისა ყოველ წყვილზე.**



## „პროვოდნიკისა"
**წარმომადგენლები მთელ კავკასიისთვის**
## მიუნ და ვეის
**ტფილისი და ბაქო.**
1888
(50—6.—48)